

# Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ჟურნალი ბალეტზე

No2(29)17








თბილისის  
ოპერისა და ბალეტის  
სახელმწიფო თეატრი

TBILISI OPERA AND BALLET STATE THEATRE



რომეო და ჯულიეტა  
ROMEO AND JULIET

სტუდიის  
REVIVAL

2018 იანვარი  
JANUARY

26, 27 | 19:00 28 | 14:00





სეზონი 166 SEASON

იან და ფრანკესკა კელი  
 შომბი შარპი და სარა უოტერსონი  
 უილიამ და მილაგროს ლაჰუე  
 ენიდ და ოლივიერ ბურკი  
 ანდრეას ჰეიდინგსფელდერი  
 გეორგი ჩირაკაძე და სარა უილიამსონი  
 პაულ და მილა ჰოლოუეი  
 მიხაელ და უტე ჰამპელი  
 გაილე ვანდენბერგი და მიხაელ როსმანი  
 ტამაზ თავაძე და დიანა თავაძე  
 ტიმოთი გიკი და ვირა რობინა

**ოქრო  
 GOLD COUPLE**

IAN AND FRANCESCA KELLY  
 SHOMBI SHARP AND SARAH WATTERSON  
 WILLIAM AND MILAGROS LAHUE  
 ENID AND OLIVIER BURKI  
 ANDREAS HEIDINGSFELDER  
 GEORGE CHIRAKADZE AND SARAH WILLIAMSON  
 PAUL AND MILA HOLLOWAY  
 MICHAEL AND UTE HAMPEL  
 GAYLE VANDENBERG AND MICHAEL ROSSMAN  
 TAMAZ TAVADZE AND DIANA TAVADZE  
 TIMOTHY GICK AND VIRA ROBINA

პამელა ჰლივა-ოლივერ  
 რებეკა ო'ბრიენი  
 ზსუზანა ჰერმანი  
 ფილიპ ლიმეტ დევეზი  
 სუსანა ჩანონი  
 მაკა გოტსირიძე  
 ჯონ რობინსონი  
 გარი დანკლეი  
 კრისტოფერ ეასლეი  
 მაკა გოგია  
 სტეფანო კრესცენცი  
 ოლგა პფისტნერი  
 მიჩელე ბილ  
 ხატუნა ტსხადაძე  
 ანდრუ თორნილი  
 ორსოლია საროსი

**ოქრო  
 GOLD INDIVIDUAL**

PAMELA HLYWA-OLIVER  
 REBECCA O'BRIEN  
 ZSUZSANNA HERMAN  
 PHILIPPE LIMET DEWEZ  
 SUSANNE CHANNON  
 MAKA GOTSIRIDZE  
 JOHN ROBINSON  
 GARY DUNKLEY  
 CHRISTOPHER EASLEY  
 MAKA GOGIA  
 STEFANO CRESCENZI  
 OLGA PFISTNER  
 MICHELLE BYL  
 KHATUNA TSKHADADZE  
 ANDREW THORNHILL  
 ORSOLYA SAROSSY

აიბჰეან ო'კეფე და ნილს სკოტი  
 ანეტე ჯენსენი და ნილ ვაინსტეინი  
 ტაძაჰარუ უეჰარა და მასაკო უეჰარა  
 ციციერო მარტინს გარსია და ანჯელეს იგლესიასი  
 იოს დუმა და ალეიდ დუმა  
 იოჰანეს ვერნერი და მარგრეტ შმიდტი  
 არჩილ კუბლავილი და ლუბა პროტსივა  
 დეივიდ და ბონი სმიტი

**ვერცხლი  
 SILVER COUPLE**

AOIBHEANN O'KEEFFE AND NIELS SCOTT  
 ANNETTE JENSEN AND NEIL WEINSTEIN  
 TADAHARU UEHARA AND MASAKO UEHARA  
 CICERO MARTINS GARCIA AND ANGELES IGLESIAS  
 JOS DOUMA AND ALEID DOUMA  
 JOHANNES WERNER AND MARGRET SCHMIDT  
 ARCHIE KUBLASHVILI AND LUBA PROTSIVA  
 DAVID AND BONNIE SMITH

თამარ მეგრელიშვილი-ჯონსონი  
 ივეტა გედვილაიტე პუოდჰიუნიენე  
 პიერ ოროფი  
 ბესი ჰასკელი  
 ეუდოსია ანდო  
 თომას პერნიკი  
 მარტინ მაქსილიან კაიზერი  
 ლენა კილადზე  
 ნანა დვალი  
 მარინა რამაზაშვილი  
 მარკ ფიტპატრიკი  
 ოია ატაკან გურენი  
 ბენგუ აკკარდაკ კუჩუკი  
 ბიძინა კუმსიაშვილი  
 კაროლინ რიცი  
 რუტა კასაბიანკა  
 ლიკა იოსელიანი  
 იური კლიუევი  
 ბენჯამინ პაინე

**ვერცხლი  
 SILVER INDIVIDUAL**

TAMAR MEGRELISHVILI-JOHNSON  
 IVETA GEDVILAITE PUODŽIUNIENÉ  
 PIERRE ORLOFF  
 BETSY HASKELL  
 EUDOSIA C. ANDOH  
 TOMAŠ PERNICKÝ  
 MARTIN MAXMILIAN KAISER  
 LENA KILADZE  
 NANA DVALI  
 MARINA RAMAZASHVILI  
 MARK FITZPATRICK  
 OYA ATAKAN GUREN  
 BENGÜ AKCARDAK KÜÇÜK  
 BIDZINA KUMSIASHVILI  
 CAROLYN RICE  
 RUTA CASABIANCA  
 LIKA IOSELIANI  
 YURIY KLYUEV  
 BENJAMIN PAINE

**სტიპენდიის სპონსორები / SCHOLARSHIP SPONSORS**


იან და ფრანკესკა კელი IAN AND FRANCESCA KELLY  
 დრ. კრისტოფერ გრინფილდი DR. CHRISTOPHER GREENFIELD – 'ROWNTREE-GREENFIELD SCHOLARSHIP'  
 სტეფანო კრესცენცი STEFANO CRESCENZI  
 ჯონ რობინსონი JOHN ROBINSON  
 ანდრეას ჰეიდინგსფელდერი ANDREAS HEIDINGSFELDER  
 თბილისის ცეკვის ვორკშოპი TBILISI DANCE WORKSHOP

**სპონსორები / SPONSORS**

შატო მუხრანი CHATEAU MUKHRANI

დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის! THANK YOU VERY MUCH FOR YOUR SUPPORT!





სტატუსი  
STATUS



პერსონალური სტატუსი მომსახურება





# Arabesque

No2(29) 2017

Ballet Magazine

„არაბესკი“ მუხრანული ბალეტის



ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის მუხრანული

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET PROFESSIONAL STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მისურაძე  
Artistic Manager of the Theatre  
BADRI MAYSURADZE

საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი  
Artistic Director of the Ballet Company  
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი ილია თავბერიძე

Editor-in-Chief ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების რედაქტორი ორსოლია საროსი

Editor of the English language content ORSOLYA SAROSSY

ინგლისურად ტექსტების თარგმანი თეონა გელაშვილი გვანტა მოსიაშვილი

Texts translated into English by TEONA GELASHVILI GVANTSA MOSIASHVILI

დიზაინი ბესიკ დანელიასი

Design by BESIK DANELIA

ფოტოგრაფი ლადო ვაჩნაძე

Photographer LADO VACHNADZE

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, ხატია ჯიჯეიშვილის, თათია ისაკაძის და ნიდერლანდების ცეკვის თეატრის მიერ მოწოდებული ფოტოები.

Photos used in this issue were provided by Lado Vachnadze, Khatia Jijeishvili, Tatia Isakadze and Nederlands Dans Theater.

გარეკანზე: ლალი კანდელაკი („ლაურენსია“).  
ხატია ჯიჯეიშვილის ფოტო

On the cover: Lali Kandelaki (Laurencia). Photo by Khatia Jijeishvili

დაბეჭდა შპს „სეზანში“  
Printed by "Cezanne" Ltd

თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი 25,  
RUSTAVELI AVE. 0108, TBILISI, GEORGIA  
თელ./TEL.: +995 32 235 75 03

ფირმა: 300

UDC (უკ) 792.8  
A-70

ISSN 1512-3274

www.opera.ge

## რედაქტორისაგან:

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ „არაბესკის“ ამ ნომერში გამოქვეყნებული მასალების დიდი ნაწილი ბალეტ „ლაურენსიას“ ეხება. ნომრიდან ნომრამდე, ვახტანგ ჭაბუკიანის ეს ბალეტი მართლაც აღმოჩნდა საბალეტო ცხოვრების ეპიცენტრში. „ლაურენსიას“ წინა ანანიაშვილისეული ქორეოგრაფიული რედაქციის პრემიერით გაიხსნა თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი, რომელიც წელს პირველად ჩატარდა. შემდგომში სპექტაკლში მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავებმა იცეკვეს და ბოლოს, ლაურენსიას პარტიაში ბოლო გამოსვლა ჰქონდა ლალი კანდელაკს, 2007 წლიდან თეატრში ამ პარტიის ერთადერთ შემსრულებელს.

გემოთ ფესტივალი ვახსენეთ, რომელიც უდავოდ წარმატებული და მრავალფეროვანი პროგრამით გამოირჩეოდა. შევეცადეთ ფესტივალის პროგრამით გამართულ საბალეტო საღამოებზე სხვადასხვა მოსაზრებები შემოგვეთავაზებინა თქვენთვის.

და ბოლოს, 2018 წელს სრულდება 200 წელი მარიუს პეტიპას დაბადებიდან. გვინდოდა გამოვხმაურობოდი იმ ადამიანის საიუბილეო თარიღს, რომელმაც ეპოქა შექმნა ბალეტის ისტორიაში. გთავაზობთ ჯორჯ ბალანჩინის ნაკლებად ცნობილ სტატიას მარიუს პეტიპას შესახებ, რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა ერთ კრებულში.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

## FROM THE EDITOR

Our Readers will easily notice that most of the articles published in this edition of Arabesque are about the ballet *Laurencia*. You will have also noticed from issue to issue that this ballet by Vakhtang Chabukiani has had a special importance in Georgia's ballet life. The Tbilisi International Ballet Festival, which has been held for the first time this year, opened with the premiere of Nina Ananiashvili's choreographic edition of *Laurencia*. In the autumn, world ballet stars danced the main parts of *Laurencia* in Tbilisi. Recently, Lali Kandelaki, who has been the only performer of *Laurencia*'s character between 2007 and 2017, has had her final appearance in this role.

We have mentioned the Festival, which indeed showcased a successful and diverse program. Thus, we tried to offer various views on each performance in Arabesque.

Last but not least, the year 2018 marks the 200th anniversary of Marius Petipa's birth. We would like to commemorate Petipa and his significant influence on the history of ballet with a lesser-known article about him by George Balanchine (first published in 1967).

We wish you a Merry Christmas and a Happy New Year!





ფესტივალი • FESTIVAL

06

თამარ რუხაძე  
ლაურენსია  
Laurencia  
TAMAR RUKHADZE

12

ნიალა გოძიაშვილი  
ნიდერლანდების ცეკვის თეატრი 2  
NDT 2  
NIALA GODZIASHVILI

16

დავით ბუხრიკიძე  
ნორჩი სხეულების  
არაკლასიკური ქორეოგრაფია  
Nonclassical Choreography  
for Young Bodies  
DAVID BUKHRIKIDZE

20

გედების ტბა  
Swan Lake



22

ირინა ბაგაური  
დონ კიხოტი  
Don Quixote  
IRINA BAGAURI



26

BALLET GALA  
ფესტივალის დახურვა  
Closing Ceremony of the Festival





30 BALLET NEWS

ბასტოლი • TOUR

32 ნინო გუგუნიშვილი  
დუეტის ძალა  
The Power of a Duet  
NINO GUGUNISHVILI

ბოლო სემესტალი • THE FINAL PERFORMANCE

36 ილია თავბერიძე  
დამშვიდობება ლაურენსიასთან!  
Farewell to Laurencia!  
ILIA TAVBERIDZE

39 BALLET NEWS

თარიღი • EVENT

40 ჯორჯ ბალანჩინი  
ყველა ოსტატზე მაღლა  
Above All Masters  
GEORGE BALANCHINE

47 დასი  
Company





# თბილისის საბალეტო ფესტივალი



თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი, რომელიც წელს დაფუძნდა, დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ერთი გამორჩეული მოვლენა გახდა, რაც მისმა მრავალფეროვანმა პროგრამამ განაპირობა. სპექტაკლების შემდეგმა გამოხმაურებებმა ცხადყო, რომ ფესტივალის მთავარი მოვლენა ნიდერლანდების ცეკვის თეატრი 2-ის გასტროლი იყო. ცნობილმა ქორეოგრაფიულმა დასმა ორი საფესტივალო საღამო აჩუქა თბილისს.

საბალეტო ზეიმი საპრემიერო ჩვენებით გაიხსნა. „ლაურენსია“ ფესტივალის პროგრამის პირველი სპექტაკლი იყო, რომლის წინ მაცურებელს თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალის დამფუძნებელმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ნინო ანანიაშვილმა მიმართა:

„დღეს ჩვენ ვხსნით თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალს – არაჩვეულებრივი სპექტაკლით – ვახტანგ ტაბუკიანის „ლაურენსიით“. შეუძლებელი იქნებოდა ამ ფესტივალის გამართვა, რომ არა ჩვენი მხარდამჭერი კომპანიები და ადამიანები, რომლებიც გვერდით გვიდგანან. პირველ რიგში, ეს არის ჩვენი არაჩვეულებრივი ოპერისა და ბალეტის თეატრი, მთელი ჩვენი კოლექტივი, რომელიც შემართებით მუშაობს ფესტივალის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის ბანკს, რომელიც ორი წელია ჩვენს გვერდით დგას და ჩვენი მხარდამჭერია; საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს და პირადად მინისტრს ბატონ გიორგი გახარიას. მისი მხარდაჭერის გარეშე ასეთი ფესტივალის ამ დონეზე ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა; საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას და პირადად ბატონ გიორგი ჩოგვაძეს, რომელიც გვერდით დაგვიდგა და საქართველოს ტურისტულ რუკაზე, ამ ზაფხულს, ფესტივალი მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ბატონ მიხეილ გიორგაძეს, თბილისის მერიას, ჰოლანდიის საელჩოს და პირადად ელჩს, მის აღმატებულებას იოჰანეს დაუმას, რომლის მხარდაჭერით ფესტივალში მონაწილეობს ნიდერლანდების ცეკვის თეატრი 2; სასტუმრო „იოტას“, კომპანია „ვისოლს“, „შატო მუხრანს“, ტელეკომპანია „იმედს“, რადიო „ფორტუნას“, ტელეკომპანია „არტარეას“, „კვირის პალიტრას“, ჟურნალებს – „ინდიგოს“ და „სითის“, „კიკალა სტუდიოს“.



ნინო ანანიაშვილი  
NINA ANANIASHVILI





21.06 - 2.07

2017

# თბილისის საბალეტო ფესტივალი

## TBILISI BALLET FESTIVAL



ნიმუ ანანიშვილი  
ფესტივალის საბალეტო დირექტორი

**NINA ANANIASHVILI**  
ARTISTIC DIRECTOR OF THE FESTIVAL



თბილისი აბანო  
TBC BANK



The Tbilisi International Ballet Festival has been founded this year and, due to its diverse program, has already become one of the most notable events of the capital's cultural life. The following responses made it obvious that the main event of the Festival was NDT 2's tour to Georgia. The prominent dance company presented the Tbilisi audience with two evenings of fascinating contemporary ballet.

A new premiere opened the ballet festival. Prior to the performance of Laurencia, Nina Ananiashvili, the Artistic Director and the founder of the Ballet Festival welcomed the spectators in her speech.

"Today we are opening the Tbilisi International Ballet Festival with a remarkable ballet, Laurencia by Vakhtang Chabukiani. It would be impossible to realize this Festival without our sponsors and the people who support us. First of all it is our wonderful Tbilisi Opera and Ballet Theatre, our whole staff that work with enthusiasm in order to implement the Festival the best way possible. I would like to say thank you to TBC Bank, which for two years has been the State Ballet of Georgia's partner and continues to support us; the Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia and to the Minister, Mr. Giorgi Gakharia – without his support it would be impossible to conduct

this kind of festival; the Georgian National Tourism Administration and Mr. Giorgi Chigovadze, who has supported and put us on Georgia's tourism map, and now the Festival is an important attraction. I would also like to thank the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia and Mr. Mikhail Giorgadze; the Tbilisi City Hall; the Embassy of the Kingdom of the Netherlands to Georgia and the Ambassador, his Excellency Mr. Jos Douma for his support with NDT 2's participation in the Festival. Also, we would like to say thanks to IOTA Hotel Tbilisi; company Wissol, Chateau Mukhrani, TV Imedi, Radio Fortuna, TV company Artarea, Kviris Palitra, magazine Indigo, magazine City, Kikala Studio and the Friends of the Georgian Ballet.

თამარ რუხაძე

By Tamar Rukhadze

ვახტანგ ჭაბუკიანის  
სახლ-მუზეუმის  
საგანმანათლებლო  
პროგრამების  
კოორდინატორი

Educational Program  
Coordinator of the Vakhtang  
Chabukiani House Museum

პირველად „ლაურენსია“ დადგმა, 1939 წლის 22 მარტს ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის (დღეს სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრი) სცენაზე ვახტანგ ჭაბუკიანმა დიდი წარმატებით განახორციელა. კომპოზიტორ ალექსანდრ კრეინის მუსიკაზე, სამოქმედო-ანი ბალეტის ლიბრეტო, ესპანელი დრამატურგის ლოპე დე ვეგას „ფუენტე ოვეხუნას“ (ცხვრის წყაროს) მიხედვით, ევგენი მანდელბერგს ეკუთვნოდა. სპექტაკლი სოლომონ ვირსალაძემ გააფორმა. ფრონდოსოს მთავარი პარტია თავად ვახტანგ ჭაბუკიანმა იცეკვა, რომელსაც პარტნიორობას ნატალია დუდინსკაია უწევდა. 1948 წლიდან „ლაურენსია“ წარმატებით იდგმებოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ხოლო, ჭაბუკიანის შემდეგ, თეატრში მისი დადგმა წელს მესამედ განხორციელდა (1995 წელს თეატრში ალადგინეს მეორე

*Laurencia* was very successfully staged by Vakhtang Chabukiani on the stage of the Lenin-grad Kirov Opera and Ballet Theatre (currently Mariinsky Theatre of Saint Petersburg) on 22nd March, 1939. On Alexander Krein's music, Evgeny Mandelberg created the libretto of a three-act ballet, based on the play *Fuente ovejuna* by the Spanish dramatist Lope de Vega. The premiere performance's set design belonged to Solomon Virsaladze. Vakhtang Chabukiani himself danced the leading male role of Frondoso, his partner was Natalia Dudinskaya. Since 1948 *Laurencia* has been on the repertoire of the Tbilisi Opera and Ballet Theatre, as well. Following Chabukiani's version, the third staging has premiered in 2017 – the second act was revived in 1955, while in 2007 the ballet was fully restaged by Nukri Maghალashvili, and the latest choreographic version is that of Nina Ananiashvili's.





Before staging her new version in Tbilisi, Nina Ananiashvili presented *Laurencia* in Minsk for the first time. Prior to the premiere, she had examined the original choreographic version together with dancers of Chabukiani's era with the intention to create a new version as close to the original as possible.

On 21<sup>st</sup> June, 2017, the newly founded Tbilisi Ballet Festival's opening performance of *Laurencia* was full of surprises. Nina Ananiashvili presented Chabukiani's masterpiece

მოქმედება, 2007 წელს – ნუკრი მაღალაშვილმა სრულად დადგა ბალეტი) და ბოლო ქორეოგრაფიული რედაქცია ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის.

ბალეტის ახალი ქორეოგრაფიული ვერსიის დადგმამდე თბილისში, ნინო ანანიაშვილმა „ლაურენსია“ პირველად 2014 წელს, ქალაქ მინსკში წარმოადგინა. პრემიერის წინ მან, ჭაბუკიანის ეპოქის მოცეკვავეებთან ერთად, შეისწავლა ბალეტის თავდაპირველი, ქორეოგრაფიული ვერსია და მაქსიმალურად შეეცადა ახალი სპექტაკლი ორიგინალთან მიახლოებული ყოფილიყო.

21 ივნისს, ბალეტის მოყვარულებს, დიდი სიურპრიზი გველოდა. ამ დღეს, ახალდაფუძნებული თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი „ლაურენსიას“ პრემიერით გაიხსნა. ნინო ანანიაშვილმა მაქსიმალური სიზუსტით წარმოგვიდგინა ჭაბუკიანის ქორეოგრაფიის ერთ-ერთი შედეგური, შეეცადა ისეთი სახით აღედგინა ცეკვები, როგორც ეს ბალეტმაისტერმა თავის პირველ დადგმებში განახორციელა. ასე დაუბრუნდა „ღირიული ესპანური“ და „ბოშური“ თავდაპირველ სახეს, უფრო გამოიკვეთა ხასინტას როლი და მისი ცეკვები ორიგინალური ვერსიის შესაბამისი გახდა.

სოლისტების შესრულებამ, სახასიათო ცეკვებმა, მასობრივმა სცენებმა, მუსიკის, ქორეოგრაფიისა და სცენოგრაფიის ერთობლიობამ (სცენოგ-





პასკუალა – მარი ელო  
მენგო – დავით ანანელი  
PASCUALA – MARI ELO  
MENGO – DAVID ANANELI

რაფი – დავით მონავარ-  
დისაშვილი, კოსტიუმების  
მხატვარი – ალექსანდრ  
ვასილიევი) მაცურებელი  
ემოციურად დამუხტა,  
სანახაობას დღესასწა-  
ულებრივი ხასიათი და  
ფერადოვნება მიანიჭა.

ლაურენსიას როლში,  
რამდენიმეწლიანი  
შესვენების შემდეგ,  
მაცურებელმა კვლავ  
იხილა ლალი კანდელაკი  
(2007 წელს დადგმული  
სპექტაკლის ყველა  
წარმოდგენის უცვლელი  
ლაურენსია სწორედ ის  
იყო). მისი სცენაზე გა-  
მოსვლისთანავე ხვდები,  
რომ ის დიდი მასტროს  
– ჭაბუკიანის მოსწავლეა.  
სხეულის ბუნებრივი  
კოორდინაცია, მუსიკის  
აბსოლუტური აღქმა მის  
შესრულებას გამორ-  
ჩეულს და განსაკუთ-  
რებულს ხდის. მას არ  
აბრკოლებს ტექნიკური  
სირთულეები და თავისი  
გმირის თავგანწირულ,  
გმირულ, მებრძოლ  
ხასიათს ქმნის.

ფრონდოსოს პარტიის  
შესასრულებლად,  
პირველ საპრემიერო  
სპექტაკლზე, თბილი-  
სელი მაცურებლის  
ფავორიტი, ბოსტონ  
ბალეტის სოლისტი ლაშა  
ხოზაშვილი მოიწვიეს.  
მან ცეკვის პროფესიული,  
დახვეწილი შესრულების  
მანერით სპექტაკლი  
ზეიმად აქცია.

„ლაურენსიას“ თითო-  
ეული მთავარი გმირის  
თუ ცალკეული პერსო-  
ნაჟის შესრულება, მისი  
ქორეოგრაფიული ტექს-  
ტიდან გამომდინარე, მო-  
ცეკვავისთვის რთულია.  
მაგრამ უფრო რთული

with maximum accuracy  
and restored the danc-  
es to a form that the  
famous ballet master  
had shown in his original  
staging. In this spirit,  
Nina Ananiashvili placed  
more emphasis on the  
“Lyrical Spanish” and  
“Gipsy” dances, as well  
as on Jacinta’s role, as  
and her dances now also  
correspond more to the  
original version.

The soloists’ perfor-  
mances, character  
dances, mass scenes,  
the harmony of mu-  
sic, choreography and  
scenography (sets by  
David Monavardisashvili,  
costumes by Alexander  
Vasilyev) all contributed  
to a festive and colorful  
performance, and gave  
the audience a unique  
emotional experience.

After a few-year break,  
spectators could see Lali  
Kandelaki again in the  
role of Laurencia (she has  
danced this role in every  
performance staged  
since 2007). Once she  
appears on the stage you  
realize that she was a  
student of the great mae-  
stro Chabukiani’s. Lali  
has brought to life the  
Spanish girl’s character,  
created about a century  
ago by Chabukiani. Her  
natural coordination of  
the body, the absolute  
perception of music  
makes her performance  
distinguished and  
exceptional. She is not  
hindered by technical  
obstacles; she has cre-  
ated the self-sacrificing,  
heroic, combative spirit  
that the role requires.



ფრონდოსო – ლაშა ხოზაშვილი  
FRONDOSO – LASHA KHOZASHVILI



მისი პერსონაჟების მეზობელი სულის, ცეცხლოვანი ესპანური ტემპერამენტის გადმოცემაა. ამ რთული ამოცანის წინაშე იდგა მომდევნო სპექტაკლებზე ლაურენსიასა და ფრონდოსოს პარტიების შემსრულებელი ორი არაჩვეულებრივი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ახალგაზრდა წყვილი – ნუსა ჩეკურაშვილი და იონენ ტაკანო, ნინო სამადაშვილი და ფრენკ ვან ტონგერენი.

ნუსა ჩეკურაშვილი საინტერესო ბალერინაა. ქორეოგრაფიული სასწავლებლის დამთავრების დღიდან ვადევნებ თვალს მის შემოქმედებით ზრდას. ყოველი შესრულებული ახალი პარტიიდან მორიგ სპექტაკლამდე ის იზრდება, იხვეწება, ემოციურად იხსნება. შეიძლება ითქვას, რომ ლაურენსია მისი შემოქმედების კულმინაციად იქცა. მან დაძლია ტექნიკური სირთულეები და სპექტაკლის ფინალში საოცარი სამსახიობო ოსტატობა გამოავლინა. მისი პარტნიორი იონენ ტაკანო, ვირტუოზულ ტექნიკას და სხეულის პლასტიკას ფლობს. მან თავისი მაღალი ნახტომებით და ოსტატურად შესრულებული პირუტებით მოწუსდა მაყურებელი.

ნინო სამადაშვილის და ფრენკ ვან ტონგერენის წყვილმა სცენაზე გამოსვლისთანავე დაიპყრო მაყურებლის გული. მათი შესრულების მანერა სრულიად განსხვავებული იყო, გმირების მტკიცე

Principal dancer of the Boston Ballet and favorite of the spectators in Tbilisi, Lasha Khozashvili, was invited to perform the role of Frondonso. Through the professional and refined manner of dancing he transformed the performance into a true celebration.

Due to its choreographic language, it is very difficult to perform the leading and all other roles in *Laurencia*. However, even a task even more complicated is to express the combative character and fiery Spanish temperament. Nutsa Chekurashvili and Yonen Takano; Nino Samadashvili and Frank Van Tongeren – two magnificent young couples, absolutely different from each other, faced those obstacles successfully in the following two performances.

Nutsa Chekurashvili is an interesting ballerina. Since the day of her graduation from the Choreographic School, I have been observing her artistic growth. From every new premiere to the next performance she develops, refines and opens up emotionally. We can say that *Laurencia* became the culmination of her art. She overcame the technical obstacles and in the finale of the performance she revealed her marvelous artistic mastery. Her partner Yonen Takano possesses virtuoso technique and a classical body. He mesmerized spectators through his high jumps







ფრონდოსო – იონენ ტაკანო  
FRONDOSO – YONEN TAKANO

ხასიათს უფრო თავ-  
დაჯერებული, ლაღად  
გაშლილი, ბრწყინვალე  
პლასტიკური მოძრაობე-  
ბით გადმოგვცემდნენ.

ორი, ერთმანეთისგან  
სრულიად განსხვავებუ-  
ლი ხასიათისაა ბალეტში  
პასკუალასა და ხასინ-  
ტას გმირები. სევდიანი  
ხასინტა – ეკატერინე  
სურმავა, განსაკუთრებუ-  
ლი მსახიობური ნიჭით  
დაჯილდოებული მსუბუ-  
ქი, ლამაზი, კლასიკური  
ბალერინას ეტალონი  
გახლავთ. პასკუალას  
ორმა შემსრულებელმა  
– მარი ელოშვილმა და  
მაცი მუტომ ტექნიკური  
სიზუსტით და არტისტიზ-  
მით შეასრულეს პარტია.  
მხიარული და ვაჟკაცური  
იყო მენგო – დავით ანა-  
ნიაშვილი.

„ლაურენსიაში“ დიდი  
მნიშვნელობა აქვს სახა-  
სიათო ცეკვებს. ესპანური  
მოტივები მუსიკასა და  
ქორეოგრაფიაში ქმნიან  
სწორედ იმ მრავალ-  
ფეროვნებას, საზეიმო  
განწყობას, რომლითაც  
გამოირჩევა ქართველი  
მაცურებლისთვის ეს  
საყვარელი სპექტაკლი.  
ცეცხლოვანი ბოშური  
სოლო შორენა ხაინდ-  
რავამ და ესპანურის, ე.წ.  
„კასტანიეტების“ ცეკვის  
კი – ვიქტორია კიკაბიძემ  
იცეკვეს. ორივე შემს-  
რულებელი საოცრად  
მუსიკალური, ბრწყინ-  
ვალედ წარმოაჩენდნენ  
ხასიათის მანერას, რომე-  
ლიც ლამაზ პოზებში და,  
რაც მთავარია, დინამიურ  
მოძრაობებში გამოიხა-  
ტებოდა.

ნინო ანანიაშვილი-  
სეულმა „ლაურენსიამ“

and masterly executed  
pirouettes.

The couple of Nino  
Samadashvili and Frank  
Van Tongeren immedi-  
ately conquered the heart  
of the audience. Their  
way of performing was  
completely different; they  
presented their roles’  
strong characteristics  
with more self-confi-  
dent, free, and splendidly  
plastic movements. There  
are two completely unlike  
characters in the ballet.  
Sorrowful Jacinta was  
performed by Ekaterine  
Surmava, who embodies  
the quintessential airy,  
beautiful ballerina with  
a special artistic tal-  
ent. Two performers of  
Pascuala’s role, Mariam  
Eloshvili and Machi Muto  
danced with technical  
accuracy and marvelous  
artistry. Cheerful and  
brave was Mengo – David  
Ananiashvili.

In *Laurencia* the character  
dances have a huge im-  
portance. Motives of the  
Spanish dance in music  
and choreography create  
exactly that diversity  
and festive mood which  
distinguish this ballet,  
an all-time favorite of  
the Georgian audience.  
Shorena Khaindrava  
performed the fiery Gypsy  
solo, and Victoria Kikabid-  
ze danced the Spanish  
solo with “Castanets”.  
Both of the dancers were  
marvelously musical  
and brilliantly presented  
their characters through  
beautifully expressive  
poses and most impor-  
tantly, through dynamic  
movements.



ლაურენსია – ნუტა ჩეკურაშვილი  
ფრონდოსო – იონენ ტაკანო  
LAURENCIA – NUTSA TCHEKURASHVILI  
FRONDOSO – YONEN TAKANO



ლაურენსია – ნუსტა ჩეკურაშვილი  
LAURENCIA – NUTSA TCHEKURASHVILI



ლაურენსია – ნინო სამადაშვილი  
ფრონდოსო – ფრანკ ვან ტონგერენი  
LAURENCIA – NINO SAMADASHVILI  
FRONDOSO – FRANK VAN TONGEREN



უფროსი თაობის მაყურებელი, რომელსაც ნანახი აქვს და ახსოვს ჭაბუკიანისეული ბალეტი, წარსულის მოგონებებში გადაიყვანა. ხოლო, ამ ბალეტის პირველად მნახველთათვის, პრიმა-ბალერინამ შეძლო კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობის ეს მნიშვნელოვანი სპექტაკლი, ძალიან საინტერესო და შთამბეჭდავი გაეხადა.

*Laurencia*, an important piece of the classical ballet heritage edited by Nina Ananiashvili, brought back memories of the past for spectators of the old generation that had seen and remembered this ballet staged by Chabukiani, and, for spectators who saw it the first time in 2017, the Prima Ballerina and Artistic Director also made it very interesting, relevant and impressive.



პრემიერის შემდეგ  
AFTER THE PREMIERE



ნიალა გოძიაშვილი

By Niala Godziashvili

საბალეტო ხელოვნების მოყვარულებმა და რასაკვირველია, პროფესიონალებმა იციან ნიდერლანდების ცეკვის თეატრის ორივე დასის NDT 1-ის და ახალგაზრდული NDT 2-ის განსაკუთრებულობა, სახელგანთქმული ირუი კილიანის და მისი აღზრდილი, თუ თანამოაზრე ქორეოგრაფების გამოკვეთილად ინდივიდუალური ხელწერა და აზროვნება. ორმა საღამომ ნამდვილად გაამართლა მაყურებლის მოლოდინი. NDT 2-მა შემოგვთავაზა ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული ერთაქტიანი ბალეტი. განსხვავებული, მაგრამ ერთი საერთო ხაზით, გონებითა და შეიძლება ითქვას ემოციით გაერთიანებული წარმოდგენები.

პირველ რიგში, 16 საოცარი ახალგაზრდის თამაში, ენერგიული, ჯანსაღი აზროვნების და გახსნილი სულის მოცეკვავეების დამსახურებაა ეს მომხიბვლელი სპექტაკლები. დასის შესაძლებლობას, სტილისტურ სისუფთავეს, ტექნიკურ აღჭურვილობას

In the world of ballet art, amateur admirers and professionals are all aware of the exceptionality of both companies: NDT 1 and young NDT 2. They are also familiar with the exceptional individual signature of renowned Jirí Kylián and his students or like-minded choreographers. These two evenings fully met the spectators' expectations. NDT 2 offered five one-act ballets which were all different from one another. Still, we can say they were performances created with the same mindset and heartbeat.

First of all, these fascinating performances are the achievements of sixteen bold, energetic, open-minded and soulful dancers. The company's potential, stylistic accuracy, technical capabilities and the most precise attitude towards the music are boundless. If you know the creative art of the living legend Jirí Kylián, if



და მუსიკისადმი უზუსტეს დამოკიდებულებას არა აქვს საზღვარი. თუ ოდნავ მაინც იცნობ ცოცხალი კლასიკოსის, ირუი კილიანის შემოქმედებას, თუ მოვისმენია მისი ინტერვიუები და დაკვირვების ხარ მისი მუშაობის და სწავლების მეთოდს, არ შეიძლება არ იგრძნო ამ შესანიშნავი ახალგაზრდების უფაქიზესი, უნაზესი და შესაშურად ერთგული დამოკიდებულება მასტროსადმი, სითბო, სიყვარული და ასმაგად დაბრუნებული შემოქმედებითი ვალი. იგივე შეიძლება ითქვას საექტაკლების შემქმნელ, უკვე ცნობილ ქორეოგრაფებზე. მართალია, მშვენიერ თაიგულს აკლდა, ჩემი სუბიექტური აზრით, სრულიად გენიალური ნაჩო დუატო, თუმცა, წარმოდგენილმა ქორეოგრაფებმა ისეთი საკამათო, განსახილველი და ტვინის ასაფეთქებელი ბალეტები გვაჩვენეს, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, თბილისში საბალეტო კრიტიკის არარსებობაში. მხოლოდ მქუხარე აპლოდისმენტებით არ უნდა მთავრდებოდეს ასეთი მოვლენები საბალეტო სამყაროში.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო სახელგანთქმული დუეტის, სოლ ლეონის და პოლ ლაითფუტის ბალეტის *Sleight of hand* დახვეწილი, ერთგვარად ნერვიული და ბეწვის ხიდზე მოსიარულე ქორეოგრაფია, როგორც ფილიპ გლასის მუსიკა. რვა მოცეკვავის და შავი ხავერდის საშუალებით სცენაზე ქვესკნელი და ზესკნელი იქმნება. ადამიანს, რომელსაც სურს იპოვნოს საკუთარი ადგილი მყარ შუაღვდაში, არასოდეს მოასვენებს ორი სამყაროს ჭიდილი საკუთარ გონებაში და მხოლოდ სულიერი ჰარმონია მოუტანს სიმშვიდეს. ქორეოგრაფია იმდენად სრულყოფილია და ამავე დროს, იმდენად ტრადიციულად თეატრალური, რომ საკვირველიცაა, როგორ მოახერხეს ქორეოგრაფებმა განყენება, განდგომა სუბიექტურობისაგან და მოცეკვავების აბსტრაქტულ, მაგრამ ემოციურად ძაღზე დაძაბულ არსებებად ქცევა. 20 წუთის განმავლობაში ერთი სუნთქვით, თითქოს ერთი პლასტიკური ხაზით და ერთი ბგერით გაერთიანებული 8 ადამიანი კი არ ცეკვავს, არამედ იბადება და სადღაც ქრება.

you have listened to his interviews and have observed his method of working and teaching, it is impossible not to feel the students' purest, most tender and devoted attitude towards the maestro – the cordiality, love and the creativity paid back to him a hundred times by these wonderful young dancers. We can say the same about the other choreographers, creators of these performances. Even though the exceptional genius Nacho Duato, in my subjective opinion, was missing from this wonderful bouquet, the presented choreographers showed us such mind-blowing and thought-provoking ballets, that I once again was convinced that such works are understood and appreciated in Tbilisi. These kind of events in the ballet world should not be finished with only a storm of applause.

First of all I would like to mention the refined choreography of the ballet *Sleight of Hand* by the prominent duo of Sol Leon and Paul Lightfoot, as well as the music by Philip Glass. Heaven and earth are created by eight dancers and black velvet... To the mind of a person who strives to find his place and balance between two worlds, only spiritual harmony will bring peace. The choreography is so complete and at the same time so traditionally theatrical, that it is surprising how the dancers managed to transform into such abstract but emotionally very tense creatures. It seems like during



SLEIGHT OF HAND © Rahi Rezvani





twenty minutes, with one breath, eight persons are not dancing – instead they are born and, by the end, disappear somewhere...

The second masterpiece is *Solo* by Hans van Manen set to Bach's seven-minute-long D minor Partita for Violin. Van Manen is among those rare choreographers who are capable of putting a problem and the entire world in one miniature. *Solo* is an entire ocean fit in a drop. Three dancers represent one person either with three faces, three masks, or three mindsets. In an approved artistic mean one person can perform three characters in a piece. In this case, the idea of uniting three persons became almost like a psychological experiment. The most precise and difficult tasks performed and solved by the dancers with the same accuracy and devotion – seven centuries in seven minutes.

Two very enjoyable, although, from an emotional and technical point of view, less impressive pieces – *mutual comfort* by Edward Clug and *I New Then* by Johan Inger – followed. The first one was distinguished by accents on the dancers' potential and difficult technical elements, while the second one was full of youthful joy and humor.

And, at last, the piece that the audience had been waiting for the most... Alexander Ekman and his *Cacti* – in Georgian: "kaktusebi". I emphasize it with a joke that Ekman is a "cactus" himself, a cactus brought to life as weird, viable and sharp, that is better not to touch with bare hands; at the same time, this cactus blooms with the prettiest and the most tender flowers... His choreography is refined and illusionary, and his perception of life is painful and sarcastic. He takes popular fragments of classical music and turns them upside down. With his choreography, Ekman talks to people, looks into their eyes, and goes on the "proscenium", the front of the stage, to enjoy the audience's applause. At the same time, in a way he remains indifferent. The choreographer uses minimal black and white lighting in an effective way,



მეორე შედეგრი გახლდათ ჰანს ვან მანენის *Solo* – ბახის *d moll* სავიოლინო პარტიტის შვიდ წუთიან მონაკვეთზე. ვან მანენი მიეკუთვნება იმ იშვიათ ქორეოგრაფთა რიგს, რომელთაც შეუძლიათ მინიატურაში მოაქციონ პრობლემაც და სამყაროც. *Solo* მართლაც წვეთში მოქცეული ოკეანეა. სამი მოცეკვავე წარმოადგენს ერთ ადამიანს, სხვადასხვა, გნებავთ სახით, გნებავთ ნიღბით, ან განწყობით. ერთი ასახიერებდეს სამს, სამსახიობო ხელოვნებაში აპრობირებული ხერხია. აქ კი ქორეოგრაფის იდეა სამი მოცეკვავის გაერთიანებით ლამის ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტად იქცა. უზუსტესი და ურთულესი ამოცანები, ასეთივე სიზუსტით და თავდადებათ ამოხსნილი და შესრულებული მოცეკვავების მიერ – ეს გახლდათ შვიდი წუთი და შვიდი საუკუნე.

კარგი შთაბეჭდილება, თუმცა ნაკლები ემოციურ-ტექნიკური სიახლე დატოვა ედვარდ კლუგის *Mutual comfort*-მა და იოჰან ინგერის *I new them*-მა. თუ პირველი გამოირჩეოდა აქცენტებით მოცეკვავების შესაძლებლობებზე და ტექნოლოგიურ სირთულეებზე, მეორე სავსე იყო ახალგაზრდული ხალისით და იუმორით.





და ბოლოს, ალბათ ის, ვისაც თბილისის პუბლიკა ყველაზე მეტად ელოდა. ალექსანდრ ეკმანი და მისი *Cacti* ანუ კაქტუსი. ტყუილად არ დავწერე ქართულად სათაური, მინდა ნახევრად ხუმრობით გავუსვა ხაზი, რომ ეკმანი თავად გახლავთ კაქტუსი, უცნაური, სიცოცხლისუნარიანი, ჩხვლეტია, ულამაზესი და უნაზესი ყვავილების მშობი კაქტუსი, რომელსაც ჯობია ხელით შეეხო. მისი ქორეოგრაფია ერთდროულად დახვეწილი და კიჩურია, მისი ალქმა სამყაროში კი – მტკიცუნელი და სარკასტული. ის იღებს კლასიკური მუსიკის პოპულარულ ფრაგმენტებს და თავდაყირა აყენებს მათ. ეკმანი ელაპარაკება მაყურებელს, თვალებში ჩასცქერის და ტრადიციულად გამოუყენებელ ავანსცენაზე გასული, ითხოვს აპლოდისმენტებს. თუმცა, ამავე დროს, სრულიად განზოგადებულია მაყურებლისაგან. ქორეოგრაფი ეფექტურად იყენებს მინიმალურ შავ-თეთრ განათებას, როგორც მისი დიდი მასწავლებელი კილიანი და აქვე ხელში სათუთად უჭირავს ქოთანი მწვანე კაქტუსით; ქორეოგრაფია რთული აქვს, ექსპრესიული, სასტიკად შრომატევადი და მოულოდნელად იუმორით და თვითირონიით სავსე. ალექსანდრ ეკმანი ახალგაზრდაა; მისი მომავალი, როგორც ქორეოგრაფისა და რეჟისორისა, ალბათ, უსაუსრულო სწრაფვა იქნება სრულყოფისაკენ.



like his teacher Kylián, and here he is, gently holding a pot with a green cactus in it. Ekman offers a difficult, expressive, severely labor-intensive choreography, full of sudden humor and self-irony. Alexander Ekman is still young – his future as a choreographer and director is probably going to be an infinite aspiration towards perfection.

NDT 2-ის სამეზობლოების შემდეგ ქართველ კოლეგებთან ერთად WITH GEORGIAN COLLEAGUES AFTER THE PERFORMANCES OF NDT 2



  
 28, 29 ივნისი  
 JUNE  
 ნიდერლანდების  
 ცეკვის თეატრი 2  
 NDT-2

# ნორჩი სხეულების არაკლასიკური ქორეოგრაფია


## Nonclassical Choreography for Young Bodies

დავით ბუხრიკიძე  
By David Bukhrikidze

ინტერვიუ NDT2-ის  
 აღმასრულებელ  
 სამხაბვრო  
 ხელმძღვანელთან  
 ნენსი ეუვერინკთან

INTERVIEW WITH NANCY  
 EUVERINK, EXECUTIVE  
 ARTISTIC LEADER  
 OF NDT 2

„მცირემეტრაჟიანი“ ინტერვიუ ქალბატონ ნენსი ეუვერინკთან სწორედ *Sleight of Hand*-ის შესვენებაზე ჩაგწერეთ, თეატრის კულისებში, დეკორაციების ცვლილებებისა და ნერვიულად მოსიარულე მოცეკვავეებს შორის, რომელთა არტისტულ მღელვარებას მომლოდინე პუბლიკის ცნობისმოყვარეობა ავსებდა...



We recorded this interview with Ms. Nancy Euverink backstage during the intermission before the performance of the piece *Sleight of Hand*, while sets were being rearranged. Dancers were walking across the stage nervously, and we could sense their artistic excitement complemented by the curiosity of the waiting spectators...



16 | Arabesque №29

ნენსი ეუვერინკი (ცენტრში), სახარტმვლოს კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და NDT 2-ის მთავარხელმძღვანელი სამხაბვრო ნენსი ეუვერინკი  
 NANCY EUVERINK (IN THE CENTRE), MINISTER OF CULTURE OF GEORGIA MIKHAIL GIORGADZE AND THE DANCERS OF NDT 2 AFTER THE PERFORMANCE



**ინდიგო:** პირველ რიგში, მადლობა ამ არაჩვეულებრივი საღამოსთვის. თქვენ უკვე გაქვთ თბილისის საბალეტო დასთან მუშაობის გამოცდილება. საინტერესოა, როგორია ამ თანამშრომლობის წინასტორია. რა მიზეზები უძღოდა ამ შემოქმედებით კავშირს?

**ნენსი:** პირველ რიგში, ცხადია, ეს თავად ირჟი კილიანის სახელი და მისი შემოქმედებაა, რომელსაც ასე კარგად იცნობს ნინო ანანიაშვილი. ჩვენ ძალიან ხშირად შევხვედრივართ ერთმანეთს ჰოლანდიაში და ყოველი შეხვედრა გამორჩეული და საინტერესო იყო... და როდესაც შემომთავაზა თბილისში კილიანის ბალეტების დადგმა, სიხარულით დავთანხმდი. გასაგებია, რომ ბატონ ირჟი კილიანის თანხმობის შემდეგ.

**ინდიგო:** რამ განაპირობა NDT 2-ის მონაწილეობა თბილისის საბალეტო ფესტივალში?

**ნენსი:** დაახლოებით ერთი წლის წინ, როცა შემოთავაზება მივიღეთ და აქტიურად განვიხილავდით საერთოდ, საგასტროლო ტურნეს, პირველ რიგში თბილისი ავირჩიეთ. ჩვენ კარგად გვესმის ნინო ანანიაშვილის როლის, მისი პერსონის მნიშვნე-

ლობა საბალეტო დასის ხელმძღვანელის რანგში; მისი ძალისხმევა, რომელიც გულისხმობს წარსულის პატივისცემას და, ამავე დროს, გაბედულ სიახლეებს თეატრში. ამდენად, მოლაპარაკება თბილისის საბალეტო ფესტივალში მონაწილეობის თაობაზე ძალიან სწრაფად და იოლად მოგვარდა.

**ინდიგო:** რა პრინციპით შეარჩიეთ საგასტროლო რეპერტუარი და რა განაპირობებს მას? გასაგებია, რომ ყველაფრის ჩამოტანა ვერც მოხერხდებოდა...

**ნენსი:** ყოველთვის, როცა საგასტროლო პროგრამა დგება, მნიშვნელოვანია, მასში ის მოცეკვავეები მონაწილეობდნენ, რომლებიც საუკეთესო ფორმაში არიან. მეორე საკითხია პროგრამის მრავალფეროვნება და, ცხადია, იმ კულტურული კონტექსტის გათვალისწინება, სადაც თეატრი მიემგზავრება. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ თბილისი ჩვენთვის პროგნოზირებადი გარემოა, რადგან კილიანის დადგმებს აქ უკვე იცნობენ. ამიტომ, შევარჩიეთ შედარებით ახალი – პოლ ლაითფუტის, სოლ ლეონის, ალექსანდრ ეკმანის დადგმები.

**Indigo:** First of all, thank you for this wonderful evening! You already have experience working with the State Ballet of Georgia. It would be interesting to know the history of this collaboration. What was the artistic motivation that has led to this cooperation?

**Nancy:** First of all, obviously, it is himself Jiri Kylián's name and his creative work, that Nina Ananiashvili is very well aware of. We met many times in the Netherlands, and each of our meetings was interesting and exceptional... And when Nina offered me to stage Kylián's work in Tbilisi, I accepted it with pleasure, of course after getting Mr. Jiri Kylián's consent.

**Indigo:** How did you agree on NDT 2's participation in the Tbilisi Ballet Festival?

**Nancy:** About a year ago, when we received the offer, we were actively discussing our future tours in general, and we chose Tbilisi in the first place. We understand very well the importance of the role and prominent figure of Nina Ananiashvili as an Artistic Director. Her endeavor implies respect of the past and, at the same

time, bold novelties at the theatre. Thus, the negotiation regarding our participation in the Tbilisi Ballet Festival was settled very quickly.

**Indigo:** How do you select the tour repertoire, what do you consider when making such decisions? It is not possible to present all the works...

**Nancy:** When we compile the tour repertoire, it is always important that those dancers should participate who are in the best shape. The other matter is the repertoire's diversity and of course taking into consideration the cultural context of the country we are travelling to. We had already anticipated that for us Tbilisi would be a predictable place, due to the reason that the audience already knows Kylián's works – that is why we selected newer ones: works by Paul Lightfoot, Sol Leon and Alexander Ekman.

**Indigo:** How do you see the balance between the contemporary and classical works, and what are the guiding principles for choosing the repertoire?

**Nancy:** It is important to define what the



**ინდიგო:** როგორია ბალანსი თანამედროვე ცეკვასა და კლასიკას შორის და რა პრინციპებით ხელმძღვანელობთ რეპერტუარის შერჩევას?

**ნენსი:** მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა სურს თეატრს; საიით მიდის, როგორია მისი ორიენტირები და დამოკიდებულება გარემოს მიმართ. როგორ შეიძლება ასახოს კლასიკურმა ბალეტმა თანამედროვეობა და როგორ უნდა დამკვიდრდეს თანამედროვე რეპერტუარი. ცხადია, ბალანსის დაცვა ყოველთვის ვერ

ხერხდება და ხშირად ექსპერიმენტსაც მივმართავთ, რათა ყველა თაობის ქორეოგრაფსა თუ მოცეკვავეს მიეცეს საშუალება, საკუთარი შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინოს.

**ინდიგო:** შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის საბალეტო ფესტივალის მთავარი კონცეფცია მაინც კლასიკური ბალეტის არეალისა და შესაძლებლობის გაფართოებას ეყრდნობა?

**ნენსი:** ცხადია, არეალი ყოველთვის უნდა გაფართოვდეს. ეს გავიგოთ, როგორც უწყვე-

theatre wants; which direction it goes, how its indicators and attitude are towards the environment, how a classical company can present contemporary works and how a contemporary repertoire can be established. Of course, keeping the balance is not always manageable and very often we experiment, so that the choreographers or the dancers of all generations have the opportunity to fully reveal their potential.

**Indigo:** Can we assume that the main concept

of the Tbilisi Ballet Festival is to broaden the audiences' horizons by offering choices beyond the realm of classical ballet?

**Nancy:** Naturally, the choices should be expanded – we should appreciate classical ballet as an uninterrupted connection with the past, besides, we have to try and add diversity and the sense of novelty. However, the final decision should be made by the management of the Festival: what priorities they will choose and what





ტი კავშირი დროსთან და, აქედან გამომდინარე, უნდა ვეცადოთ, მრავალფეროვნება და სიახლის განცდა არ დაიკარგოს. თუმცა, საბოლოოდ ეს თავად ფესტივალის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, რა პრიორიტეტს აირჩევს, რა სიახლეს შესთავაზებს მაყურებელს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღეს ძალიან სწრაფად იცვლება ცეკვის ხელოვნება, ვითარდება მისი ფორმები.

**ინდიგო:** გასაგებია, რომ ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტი, პირველ რიგში, დაკავშირებულია ირჟი კილიანის სახელთან. როგორაა თეატრში წარმოჩენილი ახალი თაობა, თუ ზრუნავს მასზე თავად თეატრის ხელმძღვანელობა?

**ნენსი:** ყოველთვის, როდესაც ნიდერლანდების ნაციონალურ ბალეტზე საუბრობენ, ბუნებრივია, ახსენებენ კილიანის სახელს. ეს საფირმო ნიშანივითაა, რომელიც დიდ უპირატესობას და დივიდენდს იძლევა, მაგრამ ყოველთვის უნდა ვიფიქროთ განავითარებას და ახალ პრინციპებზე. ამის მაგალითია, სწორედ, NDT2-ის ახალგაზრდული დასი, რომელიც საჭირო მომზადებისა და გამოცდილების შემდეგ, ავსებს ნიდერლანდე-

ბის ნაციონალურ ბალეტს.

**ინდიგო:** რა პერსპექტივას ხედავთ ქართულ საბალეტო დასში და თუ გაქვთ მასთან შემდგომი თანამშრომლობის გეგმები?

**ნენსი:** ძალიან მიყვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი და მოხარული ვარ, რომ აქაურ დასთან მომიწია ირჟი კილიანის ბალეტებზე მუშაობა... და რასაკვირველია ნინო ანანიაშვილი! ის არის გაბედული, რისკიანი ადამიანი, რადგან არ უშინდება შესაძლო კონსერვატიულ რეაქციებს და დღევანდელობაში ეძებს ქორეოგრაფიის განვითარების გზებს. ვიმედოვნებ, ნინო ანანიაშვილთან შემდგომშიც გვექნება ერთობლივ პროექტებზე მუშაობის საშუალება.

**ინდიგო:** აპირებს თუ არა მომავალში ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტი თბილისში ჩამოსვლას და ფესტივალში მონაწილეობას?

**ნენსი:** დიახ, ეს მნიშვნელოვანია და მოხარული ვიქნებით, თუ უკვე ნიდერლანდების ნაციონალური ბალეტის ძირითადი დასიც გახდება თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალის სტუმარი.

*„ინდიგო“ #22.2017  
იბეჭდება შემოკლებით*

novelty they will offer to audience. It should also be considered that nowadays the art of dance is changing rapidly and its forms are constantly developing.

**Indigo:** We understand that the Netherlands Dans Theater is associated with the name of Jirí Kylián. How is the new generation presented there these days, what kind of opportunities does the management of the theatre provide for them?

**Nancy:** When they speak about the Netherlands Dans Theater, normally they always mention the name of Kylián. This is like a trademark, which is a great privilege and benefit, but we always have to think about our development and new principles. The example for this is the young company of NDT 2, which, after the necessary experience and training, fills the main company, Netherlands Dans Theater 1 (NDT 1).

**Indigo:** What kind of perspective do you see in the State Ballet of Georgia, and do you plan further cooperation with them in the future?

**Nancy:** I love the Tbilisi Opera and Ballet Theater very much,

and I am glad that I had worked with them on staging a ballet by Jirí Kylián. And of course Nina Ananiashvili...! She is a bold, risk-taking person who is not afraid of possible conservative reactions and is searching the ways of the choreography's development. I hope that we will have an opportunity to work with Nina Ananiashvili on mutual projects again.

**Indigo:** Will the Netherlands Dans Theater return to Tbilisi and participate again in the Ballet Festival?

**Nancy:** Yes, we would be very glad if the main company of the Netherlands Dans Theater could also be the guest of the Tbilisi Ballet Festival.

*Published in Indigo Magazine (#22/2017)*

*We publish a short version of the interview*



# გედების ტბა SWAN LAKE

საფესტივალო პროგრამის მესამე სპექტაკლი პიოტრ ჩაიკოვსკის „გედების ტბა“, ორი მოწვეული სოლისტის მონაწილეობით გაიმართა. მაცურებლის წინაშე პოლონეთის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტები ჩინარა ალიზადე და ვლადიმერ იაროშენკო წარსდგნენ.

The third performance of the Festival was *Swan Lake* by Pyotr Tchaikovsky with the participation of two guest soloists – Chinara Alizade and Vladimir Yaroshenko, Principal Soloists of the Polish National Ballet performed the main roles.





ჩინარა ალიზადე თბილისელი პუბლიკისთვის უცნობი სახელი არაა. იგი 2013 წელს ჟილბერ ალბერისა და ნინო ანანიასვილის საერთაშორისო საბალეტო პრემია „ვარსკვლავის“ ლაურეატი გახდა და თბილისში „დონ კიხოტი“ იცეკვა. ამჯერად, მის პარტნიორთან ვლადიმერ იაროშენკოსთან ერთად, „გედების ტბაში“ მოუწია გამოსვლა და როგორც პროგრამით იყო დაანონსებული, დასკვნით გალა-კონცერტშიც მონაწილეობდა.

„გედების ტბის“ მიმართ მაყურებლის ინტერესი ყოველთვის განსაკუთრებულია, კიდევ უფრო მაშინ, როცა პუბლიკას საშუალება ეძლევა ნახოს ახალი შემსრულებლები. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ამ ინტერესის პარალელურად მოთხოვნაც, მათი მხრიდან, დიდია. მაყურებელი ძნელად ეგუება ნებისმიერ პატარა უზუსტობასაც კი.

„გედების ტბა“ ჩინარა ალიზადემ და ვლადიმერ იაროშენკომ პირველად, სულ ცოტა ხნის წინ, ვარშავაში იცეკვეს. ალბათ, თბილისში ამ სპექტაკლში გამოსვლა გარკვეულ მღელვარებასთანაც იყო დაკავშირებული – ბალეტის განსხვავებული რედაქცია, დირიჟორი და ორკესტრი, რომელთანაც პირველად უხდებოდათ თანამშრომლობა, მთლიანობაში მათთვის მღელვარების საფუძველს იძლეოდა.

ოდეტა-ოდილიას პარტია ნებისმიერი ბალერინასათვის ოცნების როლია და ამავდროულად, საუკეთესო საშუალებაა მათი ტექნიკური და სამსახიობო შესაძლებლობების გამოსავლენად. მართალია ჩინარა ალიზადეს გამოსვლა „გედების ტბაში“ არ ყოფილა სადებიუტო, თუმცა მაინც ეტყობოდა შინაგანად ღელავდა, ვლადიმერ იაროშენკო კი შეეცადა ენერგიულად ეცეკვა და ღირსეული პარტნიორობა გაეწია მისთვის.

Chinara Alizade's name is not unfamiliar to the spectators in Tbilisi. In 2013, she became the Laureate of the International Ballet Prize "Star" awarded by Nina Ananiashvili and Gilbert Albert, and danced in *Don Quixote* in Tbilisi. This time she performed in *Swan Lake* with her partner Vladimir Yaroshenko and, as it had been announced, they participated in the Festival's closing Gala concert, as well.

The spectators' interest towards *Swan Lake* is always special, even more so when the audience is given an opportunity to see new performers. That is why it is no surprise that along with the interest the demand from them is also huge. The spectators have high expectations and will spot even the slightest imprecision.

Not so long ago Chinara Alizade and Vladimir Yaroshenko performed *Swan Lake* in Warsaw. Probably their appearance in this ballet in Tbilisi made them slightly nervous – a different Company, a different redaction of the ballet, the conductor and orchestra with whom they had to communicate for first time... Overall this might have caused their anxiety.

The part of Odette-Odile is a dream role for any ballerina, and, at the same time, this is a wonderful opportunity to display their technical and artistic potential. Even though this was not Chinara Alizade's debut performance in *Swan Lake*, it could still be seen that she was a bit nervous. Vladimir Yaroshenko tried his best to dance energetically and partner her.

ოდეტა – ჩინარა ალიზადე  
პრინცი – ვლადიმერ იაროშენკო  
ODETTE – CHINARA ALIZADE  
PRINC – VLADIMIR YAROSHENKO





# დონ კიხოტი DON QUIXOTE

ჩელიტა – ეკატერინა კრისანოვა  
ბაზილი – ვლადისლავ ლანტრათოვი  
CHELITA – EKATERINA KRYSANOVA  
BASIL – VLADISLAV LANTRATOV

ირინა ბაგაური

By Irina Bagauri

სპეციალურად  
„არაბესკისთვის“  
Exclusive for Arabesque





საბალეტო სამყაროში ხშირად გაიგონებთ, რომ „დონ კიხოტი“ მოსკოვური ბალეტია: კლასიკური ცეკვის ფუძემდებელმა და უმთავრესმა ქორეოგრაფმა, ფრანგმა მარიუს პეტიპამ საკუთარი შედეგების უდიდესი ნაწილი პეტერბურგის საიმპერატორო ბალეტისთვის დადგა, მოსკოვს კი აჩუქა ადრეული რომანტიზმის სევდისა და მელანქოლიისგან მოულოდნელად დაცლილი, ყველაზე კაშკაშა და მზიანი ბალეტი – „დონ კიხოტი“. ამიტომ, მოსკოვის დიდ თეატრში – „ბოლშოიში“ ამ დადგმით განსაკუთრებულად ამყობენ და ირწმუნებიან, რომ არსად უკეთ არაა დაცული მისი შესრულების ტრადიციები, ვიდრე ამ თეატრში. თბილისის პირველი საერთაშორისო საბალეტო ფესტივალის ფარგლებში, 30 ივნისს წარმოდგენილ „დონ კიხოტი“, თბილისელი მყურებლის წინაშე, წამყვან პარტიებში, საბალეტო დასთან ერთად, სწორედ მოსკოვური წყვილი წარსდგა: „ბოლშოის“ ვარსკვლავები – ეკატერინა კრისანოვა და ვლადისლავ ლანტრატოვი.

2005 წლიდან „დონ კიხოტი“, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეპერტუარში, ნინო ანანიაშვილისა და ალექსეი ფადეეჩევის რედაქციითაა წარმოდგენილი. საბალეტო ფესტივალის პროგრამაში სპექტაკლის სწორედ

In the ballet world you often hear that everyone associates *Don Quixote* with Moscow as a true Russian style ballet: the founder and influential choreographer of classical dance, French Marius Petipa, staged most of his masterpieces for the Imperial Ballet of Saint Petersburg, but he gave the gift of the brightest, most vivid and sunny ballet *Don Quixote* to Moscow – a performance that lacks the sadness and melancholy of the early Romanticism. That is why at “The Bolshoi” – the Moscow Bolshoi Theatre – they are particularly proud of this staging, and they are convinced that traditions of this performance are preserved the best in this theatre. On June 30, 2017, within the framework of the first Tbilisi International Ballet Festival, in the ballet *Don Quixote*, along with the dancers of the State Ballet of Georgia, the leading roles were performed exactly by a couple representing Moscow: stars of the Bolshoi – Ekaterina Krysanova and Vladislav Lantratov.

Since 2005 in the repertoire of the Tbilisi Opera and Ballet Theatre, *Don Quixote* has been presented in form of the redaction by Nina Ananiashvili and Alexey Fadeechev. They included this version with small changes in the Ballet Festival’s program. The guest conductor of the performance, Alevtina Iof-



ჩელიტა – ეკატერინა კრისანოვა  
 ბაგილი – ვლადისლავ ლანტრატოვი  
 CHELITA – EKATERINA KRYSANOVA  
 BASIL – VLADISLAV LANTRATOV

© TATIA ISAKADZE



ეს, 2016 წელს ოდნავ სახემეცვლილ ვერსია შეიტანეს, რომელსაც ქართველი მაცურებლისთვის უკვე კარგად ცნობილი ალევტინა იოფე დირიჟორობდა.

„დონ კიხოტი“ თავისი ბუნებით სადღესასწაულო ბალეტია. მოწვეული სოლისტების, ქართული დასის, დირიჟორის და ორკესტრის ერთობლივი შემოქმედებითი ძალისხმევით, ზემო ნამდვილად შედგა.

ჩვენ დროში, როდესაც კლასიკური დადგმების ასობით ხელმისაწვდომი ჩანაწერი არსებობს, რთულია ყველასთვის ნაცნობ როლს მორარგო საკუთარი ხელწერა და ეს მაცურებლისთვის საინტერესო გახადო. ეკატერინა კრისანოვამ, თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე, ყველა ცნობილი მოცეკვავისგან გამორჩეული ჩელიტა წარმოგვიდგინა: მისი ცეკვა დასამახსოვრებელი იყო ერთი მხრივ სიმსუბუქით, ვირტუოზობითა და სისწრაფით, რომელიც ჩანაწერების სახით შემოგვრჩა მოსკოვური სკოლის პრემიების შესრულებაში და მეორე მხრივ, მის მიერ დამუშავებულ ახლებურ საცეკვაო ნიუანსებში იკითხებოდა არტისტის ძალიან დახვეწილი გემოვნება და განსაცვიფრებელი ზომიერება – მსგავსი ფაქიზი და გაწონასწორებული სამშემსრულებლო კულტურით, თანამედროვე

fe, was already known to the Georgian spectators.

*Don Quixote* is a festive ballet. With a joint artistic endeavor of the Festival's guest soloists, the Georgian company, the conductor and orchestra turned the performance into a celebration indeed.

Nowadays when there are hundreds of available recordings of the classical staging of this ballet, it is hard to add that special personal touch to such well-known roles to make it interesting for the audiences. On the stage of the Tbilisi Opera Theatre, Ekaterina Krysanova presented a truly outstanding Chelita: her dance was memorable due to its lightness, virtuosity and speed, which had been preserved as a recording in the performances of the Russian school's Primas. In addition, she showed the new dance nuances, you could sense the very refined taste and startling modesty. In contemporary ballet theatre, there are not many, even among the most high-ranking dancers, who are distinguished by the same kind of accurate performing style.

To summarize the plot of *Don Quixote* very briefly, a young Spanish barber called Basilio and the daughter of an inn-keeper, Chelita fall in love with each other. However, the girl's father is against their marriage and tries to force



© TATIA ISAKADZE

ბაზილიო – ვლადისლავ ლანტრათოვი  
BASIL – VLADISLAV LANTRATOV



© TATIA ISAKADZE

ჩელიტა – ეკატერინა კრისანოვა  
გამაჩი – უილიამ პრატი  
CHELITA – EKATERINA KRYSANOVA  
GAMACHE – WILLIAM PRATT



საბალეტო თეატრში არც თუ ბევრი, თუნდაც პირველი კლასის მოცეკვავე არ გამოირჩევა.

ბალეტის შინაარსი, ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ ასეთია: ახალგაზრდა ესპანელ დალაქს – ბაზილს და მიკიტნის ლამამ ქალიშვილს – ჩელიტას ერთმანეთი უყვართ. თუმცა, გოგონას მამა მათი დაქორწინების წინააღმდეგია და ქალიშვილს აიძულებს ცოლად ერთ მდიდარ და სულელ კაცს გაჰყვეს.

30 ივნისს, ვლადისლავ ლანტრატოვის სცენაზე პირველივე გამოჩენამ ცხადყო, თუ რატომ გაუჩნდა ბარსელონას მოედანზე შეკრებილებს და იქ შემთხვევით შემოხეტებულ, ლა მანჩელ უკანასკნელ რაინდ დონ კიხოსსაც კი ბაზილის დახმარების სურვილი. 29 წლის მომხიბვლელი მოცეკვავე ისეთი თვალისმომჭრელი ელვარებითა და გადამდები სიხარულით შემოიჭრა სცენაზე, რომ მისით ერთიანად მოინუსხა არა მხოლოდ სოფლის ყმაწვილქალობა, არამედ მყურებელთა დარბაზი. უნდა აღინიშნოს, რომ თავად მოცეკვავეს ცდა არ დაუკლია საამისოდ – მთელი სპექტაკლის განმავლობაში უშურველად ასხივებდა ახალგაზრდულ სიცოცხლისუნარიანობასა და სილაღეს, დროდადრო თითქოს გვაკვირდებოდა და ამოწმებდა კიდევ, საკმარისად დაიპყრო თუ არა

ჩვენი, მისთვის სრულიად ახალი პუბლიკის გული. თუმცა, ეს არ ყოფილა მყურებელზე მხოლოდ გრძნობებით თამაში. მოცეკვავეს, სპექტაკლის მანძილზე, არც ერთხელ არ დაუზოგავს ძალები საკუთარი უზომოდ დახვეწილი ტექნიკისა და არტისტიზმის წარმოსაჩენად.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ წამყვანმა მოცეკვავე მამაკაცმა ერთი შეხედვით, სცენაზე ადგილი ლამის საკუთარ პარტნიორსაც კი არ დაუტოვა, ნამდვილად ვერ გადაფარა კიდევ ერთი დიდი მოცეკვის ხანმოკლე და უზომოდ კაშკაშა ელვარება. ქართული საბალეტო დასის პრიმბალერიანამ – ლალი კანდელაკმა, რომლის ჩელიტასაც არაერთგზის აღვუფრთოვანებიათ, ამჯერად ფინალურ გრან პაში, პირველი კლასიკური ვარიაცია ისეთი არნახული ვირტუოზობით შემოგვთავაზა, ყველაზე ენერგიული ბაზილიც კი ვერაფრით ჩააქრობდა მის ბრწყინვალეობას.

მოწვეული სოლისტებისა და საბალეტო დასის დამსახურებით, მთლიანობაში „დონ კიხოტი“ ფესტივალის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპექტაკლი გამოდგა. ლალი, ნათელი და უზომოდ სახალისო – სწორედაც რომ ისეთი, როგორც უნდა იყოს, ეს დიდი ბალეტი-დღესასწაული – პეტიპას „დონ კიხოტი“.

her to marry a rich and foolish man.

On June 30, Vladislav Lantratov's first appearance on the stage made it clear why the people gathered on the square of Barcelona, and why even the last knight of La Mancha, Don Quixote who accidentally wandered there, wished to help Basilio. The charming 29-year-old dancer's dazzling lustre and contagious joy mesmerized not only the maidens of the village, but the Tbilisi spectators as well. I must mention that the dancer himself tried his best – during the entire performance he was emanating youthful vitality and cheerfulness. Time after time he even observed whether he won our – his new audience's – hearts, or not. However, this was not about simply playing on the spectators' emotions, but the dancer made every effort during the performance to

constantly present his infinitely refined technique and artistry.

Although the leading male dancer, at first glance, almost overshadowed even his partner, he indeed could not outperform the infinitely radiant presence of another great dancer. Prima Ballerina of the State Ballet of Georgia, Lali Kandelaki, whose Chelita had often impressed us before, appeared this time in the final Grand Pas and offered the first variation with such virtuosity that even the most eager Basilio could not distract the audience enchanted by her excellence.

With the merit of the guest soloists and the State Ballet of Georgia, *Don Quixote* as a whole appeared to be the most successful performance of the Festival. Joyful, light and very entertaining – exactly the way this great ballet-celebration, *Don Quixote* by Petipa should be.



© TATIA ISAKADZE

ესპადა – ფილიპ ფედულოვი  
ESPADA – PHILIP FEDULOV



# BALLET GALA

ფესტივალის დახურვა  
CLOSING CEREMONY OF THE FESTIVAL

ვინც ფესტივალის დასკვნით გალა-კონცერტს დაესწრო, შესაძლოა პასუხი ეპოვა კითხვაზე, რომელიც ყოველი ახალი ფესტივალის დაფუძნებას მოყვება ხოლმე – რა მხატვრულ კონცეფციას ეფუძნება ახლად დაარსებული საბალეტო ფესტივალი თბილისში? საგულისხმოა, რომ ერთი მხრივ, ეს არის კლასიკური ბალეტების მოყვარული მაყურებლის ინტერესისადმი ერთგულება; მეორე მხრივ, კი თანამედროვე ქორეოგრაფიის ნიმუშების ჩვენება, რის საშუალებასაც თბილისში აქტიურად მოკლებულნი ვართ. ასე ეკლექტურად იყო შედგენილი თავად გალას პროგრამაც, რომელიც „მძინარე მზეთუნახავის“ გრანდ დივერტისმენტით დაიწყო. ჩაიკოვსკი-პეტიპას კლასიკური საბალეტო შედევრის მესამე მოქმედების ჩვენება დასმა თბილისში, მხოლოდ ერთხელ, იაპონიაში გასტროლის წინ, შეძლო. ამიტომ, მისი ჩასმა ფესტივა-

Those who attended the closing ceremony were probably able to find an answer to the question that follows to the foundation of any Festival: what kind of concept is the Festival based on? It is a significant fact that this is a devotion to an audience mainly interested in classical ballet. On the other hand, this is also a presentation of the masterpieces of contemporary choreography – we have a lack of such opportunities in Tbilisi. The program of the Festival itself was composed in an eclectic way. It began with the grand divertissement of the *Sleeping Beauty*. The Company performed the third act of Tchaikovsky's masterpiece choreographed by Petipa, which they have only danced once before, on a tour in Japan. That is another reason why including this ballet in the program of the Festival Gala was the right thing to do. It has been a long time since the *Sleeping Beauty* was





ლის დასკვნითი კონცერტის პროგრამაში ამ კუთხითაც გამართლებული იყო. „მძინარე მზეთუნახავი“ თბილისში დიდი ხანია არ ყოფილა წარმოდგენილი და ინტერესი ამ ბალეტის მიმართ დიდია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ავრორას პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი ცეკვავდა, ფესტივალის პროგრამით, ეს კიდევ ერთი სასიამოვნო შეთავაზება იყო მაყურებლისთვის. ანანიაშვილს პარტნიორობას მოსკოვის დიდი თეატრის პრემიერი ალექსანდრე ვოლჩკოვი უწევდა.

მთლიანობაში, საბალეტო დასი, კარგ ფორმაში წარსდგა მაყურებლის წინაშე და საკმაოდ რთულად შესასრულებელი „მძინარე მზეთუნახავის“ ბოლო მოქმედება, წარმატებულად იცეკვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოლისტების და მოცეკვავეების მარი ელოს (პრინცესა ფლორინა) და იონენ ტაკანოს (ლურჯი ფრინველი), ნინო სამადაშვილის (ფერია იასამანი), თამთა ბახტაძის (ფერია ოქრო), მაჩი მუტოს (ფერია ბრილიანტი), ნია გელაძის (ფერია ვერცხელი), ნია გულორდავას (თეთრი ფისო), დიეგო ბუტილიონეს (ჩექმებიანი კატა), ეკატერინე სურმაგას (კონკია), ფრენკ ვან ტონგერენის (პრინცი ფორტუნე) გამოსვლები.

ფესტივალზე, ჩაიკოვსკის „გედების ტბაში“ გამოსვლის შემდეგ, ჩინარა ალიზადემ და ვლადიმირ იაროშენკომ, პოლონეთის ნაციონალური ბალეტის წამყვანმა სოლისტებმა, საბალეტო გალაზე ორი პა დე დე შეასრულეს: კლასიკური საბალეტო მემკვიდრეობის პოპულარული ნომერი – ობერის დიდი კლასიკური პა დე დე და ასევე პა დე დე თანამედროვე ქორეოგრაფის კრისტოფ პასტორის ბალეტიდან „ტრისტანი და იზოლდა“.

უნგრეთის ნაციონალური ბალეტის წამყვანი სოლისტები ალია ტანიკაპევა და გერგეი ლებლანცი ადანის ბალეტ „კორსარის“ პა დ' სკლავში გამოვიდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს არ იყო ამ საბალეტო დღესასწაულის თანაბომიერი შესრულება.

presented in Tbilisi, and there is a great interest towards this ballet. If we also consider the fact that Nina Ananiashvili danced the role of Aurora, this was one more pleasant offer to the spectators. Ananiashvili was partnered by Principal Dancer of the Moscow Bolshoi Theatre Alexander Volchkov.

Overall, the ballet Company performed in a good manner, and presented this difficult piece, the third act of the *Sleeping Beauty* very well. Especially worth noting performances by the Soloists and dancers Mari Elo (Princess Florine) and Yonen Takano (The Blue Bird), Nino Samadashvili (Lilac Fairy), Tamta Bakhtadze (Gold Fairy), Machi Muto (Diamond Fairy), Nia Geladze (Silver Fairy), Nia Gulordava (White Cat), Diego Buttiglione (Puss in Boots), Ekaterine Surmava (Cinderella), Frank van Tongeren (Prince Fortune) and others.

Within the Festival, after their appearance in the ballet *Swan Lake*, Principal Soloists of the Polish National Ballet, Chinara Alizade and Vladimir Yaroshenko, performed two pas de deux in the Ballet Gala: *Grand Pas Classique* by Ober, which is a popular piece of the classical ballet heritage, and another one from the ballet *Tristan and Isolde* by the contemporary choreographer Krzysztof Pastor.

ლურჯი ფრინველი – იონენ ტაკანო  
THE BLUE BIRD – YONEN TAKANO







პრინცესა ავრორა – ნინო ანანიაშვილი  
 პრინცი დეზირე – ალექსანდრ ვოლჩკოვი  
 PRINCESS AURORA – NINA ANANIASHVILI  
 PRINCE DESIRE – ALEXANDER VOLCHKOV

Principal Soloists of the Hungarian National Ballet, Aliya Tanykpayeva and Gergely Leblanc danced a pas de deux from the ballet *Le Corsaire* by Adam; it can be said that their performance that evening was not commensurate with this ballet celebration.

Just like every gala evening, the closing ceremony of the Festival also had its outstanding performers. The spectators will remember for a long time a couple from the Staatsballett Berlin and a choreography by Nacho Duato on Bach's music, *Multiplicity Forms of Silence and Emptiness* "Cello" pas de deux. Elisa Carrillo Cabrera and Mikhail Kaniskin were exceptional indeed with their refinement of forms, lightness of movement and plasticity. At the Gala they performed one more piece: *Jeune Homme* pas de deux on the music of Mozart, again by a contemporary choreographer, Uwe Scholz.

Victoria Jaiani and Temur Suluashvili, leading Soloists of the Joffrey Ballet, danced in Tbilisi for the third time. Their performances at the anniversary evenings in honor of Vakhtang Chabukiani and Vera Tsignadze in previous years have been truly memorable. Those events were held in the Tbilisi Concert Hall. On the stage of the Tbilisi Opera and Ballet Theatre, they have debuted at the Festival Gala. The pas de deux *After the Rain* by Christopher Wheeldon, on the music of Arvo Pärt, was one of the most exciting pieces of the Gala Divertissement program. This charming couple's dialogue on stage, their refined and clean movements, as well as their emotionality were amazing.

The Leading Soloists of the State Ballet of Georgia also had the opportunity to perform at the Gala. Ekaterine Surmava and Philip Fedulov danced a pas de deux from the ballet *Giselle*. The performance of the young Soloists showed the current level of the State Ballet of Georgia to the spectators and guests, and Nina Ananiashvili announced that the Festival is over – till next year.



როგორც ყველა გალა საღამოს, ფესტივალის დასკვნით კონცერტსაც, ჰყავდა მისი გამორჩეული შემსრულებლები. მაცურებელს დიდხანს ემახსოვრება წყვილი ბერლინის სახელმწიფო ბალეტიდან და ნაჩო დუატოს ქორეოგრაფია ბახის მუსიკაზე – ჩელო, პა დე დე ბალეტიდან „სინჩუმისა და სიცარიელის ფორმათა სიმრავლე“. ელისა კარილო კაბრერა და მიხაილ კანისკინი მართლაც რომ გამოირჩეოდნენ ფორმების დახვეწილობით, მოძრაობათა სიმსუბუქით და პლასტიკით. გალაზე მათ კიდევ ერთი ნომერი შეასრულეს – ისევ თანამედროვე ქორეოგრაფის უვე შოლცის პა დე დე ბალეტიდან „ახალგაზრდა კაცი“, მოცარტის მუსიკაზე.

ვიქტორია ჯაიანი და თემურ სულუაშვილი თბილისში უკვე მესამედ იცეკვეს. ჩიკაგოს ჯოფრის ბალეტის

ალია ტანიკაიევა, გერგელი ლებლანცი,  
 იონენ ტაკანო. ქორსარი  
 ALIYA TANYKPAYEVA, GERGELY LEBLANC,  
 YONEN TAKANO. LE CORSAIRE




ქონკია – ეკატერინე სურმავა,  
პრინცი ფორტუნა – ფრანკ ვან ტონგერენი  
„მძინარე მზეთუნახავი“

CINDERELLA – EKATERINE SURMAVA,  
PRINCE FORTUNE – FRANK VAN TONGEREN  
SLEEPING BEAUTY



შიზელი – ეკატერინე სურმავა  
პრინცი ალბრეხტი – ფილიპ ფედულოვი  
GISELLE – EKATERINE SURMAVA  
PRINCE ALBRECHT – PHILIP FEDULOV



ელისა კარილო კაბრერა,  
მიხაილ კანისკინი  
ELISA CARRILLO CABRERA  
MIKHAIL KANISKIN



ელისა კარილო კაბრერა,  
მიხაილ კანისკინი  
ELISA CARRILLO CABRERA  
MIKHAIL KANISKIN

წამყვანი სოლისტების გამოსვლა გასულ წლებში, დასამახსოვრებელი იყო ვახტანგ ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის საიუბილეო საღამოებზე. ეს კონცერტები თბილისის საკონცერტო დარბაზში გაიმართა, ოპერის თეატრში კი ამ ახალგაზრდა წყვილს პირველად ჰქონდათ შეხვედრა ქართველ მაყურებელთან. კრისტოფერ უილდონის პადედე „წვიმის შემდეგ“, არვო პიარტის მუსიკაზე, ერთ-ერთი ამალეღვებელი და საბალეტო დივერტისმენტისთვის მორგებული ნომერი იყო, რომელიც ფესტივალის დახურვაზე შესრულდა. გასაოცარია ის დიალოგი, რომელსაც ეს მომხიბვლელი ახალგაზრდა წყვილი მართავს სცენაზე, მათი უნატიფესი მოძრაობები, ტექნიკური სისუფთავე და ემოციურობა.

გალა-კონცერტზე გამოსვლის საშუალება ჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვან სოლისტებს. ეკატერინე სურმავამ და ფილიპ ფედულოვმა იცეკვეს პადედე ბალეტიდან „ჟიზელი“. ახალგაზრდა სოლისტების გამოსვლამ გალა-კონცერტის მონაწილეებს და სტუმრებს აჩვენა თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის ამჟამინდელი დონე, რომლის ბაზაზე დაფუძნებული საერთაშორისო საბალეტო ფესტივალი თბილისში, ნინო ანანიაშვილმა ერთი წლით დახურულად გამოაცხადა.

ჩინარა ალიზაძე, ვლადიმირ იაროშენკო  
CHINARA ALIZADE, VLADIMIR YAROSHENKO



ვიქტორია ჯაიანი,  
თემურ სულაშვილი  
VICTORIA JAIANI,  
TEMUR SULUASHVILI





**ნინო ანანიაშვილს იაპონიის იმპერატორის ჯილდო გადასცა**

27 ივნისს, საქართველოში იაპონიის ელჩის, ტოშიო კაიტანის რეზიდენციაში გაიმართა ქართველი პრიმა-ბალერინას, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინო ანანიაშვილის იაპონიის იმპერატორის ჯილდოს – „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენით დაჯილდოების ცერემონია.

იმპერატორის ჯილდო ქართველ ბალერინას იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურულ ურთიერთობებში და იაპონური საბალეტო საზოგადოების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის, იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილებით მიენიჭა.

ლენტით დამშვენებული „ამომავალი მზისა და ოქროს სხივების“ ორდენი ქართველ პრიმას პირადად იაპონიის საგარეო საქმეთა საპარლამენტო ვიცე-მინისტრმა მოტომე ტაკისავამ გადასცა, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა.

**NINA ANANIASHVILI AWARDED WITH JAPANESE EMPEROR'S ORDER OF THE RISING SUN**

Georgian Prima Ballerina Nina Ananiashvili, Ballet Artistic Director of the Zakaria Paliashvili Tbilisi Opera and Ballet Theatre, received the Japanese Emperor's Order of the Rising Sun – Gold Rays with Neck Ribbon on 27<sup>th</sup> June at a special awarding ceremony held at the residence of the Ambassador of Japan to Georgia, Mr. Toshio Kaitani. As per the decision of the Japanese Government, the Georgian Prima Ballerina was granted the award of the Japanese Emperor due to her significant contribution to strengthening cultural exchange between Japan and Georgia, as well as developing ballet art in Japan.

Japanese Parliamentary Vice-Minister for Foreign Affairs Mr. Motome Takisawa presented the Order of the Rising Sun-Gold Rays with Neck Ribbon to Nina Ananiashvili and he addressed the audience in his speech.

**გალა-კონცერტი კანში**



კანში, ფესტივალების სასახლეში, მაია პლისეტსკაის ხსოვნისადმი მიძღვნილი გალა-კონცერტი VIVA MAIA გაიმართა, რომელიც Askaneli Art-ის ორგანიზებით ჩატარდა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელია ცნობილი ქართველი პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე. გალა-კონცერტზე, რომელშიც მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტი ლალი კანდელაკი. პროგრამა 9 აგვისტოს, შეკვეთილში, ბლექ სი არენაზე იქნა წარმოდგენილი და ორგანიზატორებმა, ამჯერად ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნას მიუძღვნეს.

**GALA CONCERT IN CANNES**

VIVA MAIA, a Gala Concert dedicated to Maya Plisetskaya was held at the Festival Palace of Cannes. The event was organized by "Askaneli Art". The Artistic Director of the Festival is the prominent Georgian Prima Ballerina Irma Nioradze. At the Gala, along with world ballet stars, Lali Kandelaki, Prima Ballerina of the State Ballet of Georgia performed with great success. The Gala program was also presented in Georgia, at the Black Sea Arena in Shekvetili on 9<sup>th</sup> August and this time the organizers dedicated it to the memory of Vakhtang Chabukiani.

**„ფორბსის“ იუბილე**

ჟურნალ „ფორბსის“ 100 წლისადმი მიძღვნილი გრანდიოზული საღამო გაიმართა თბილისის ოპერის თეატრში. საიუბილეო საღამოში საქართველოს სახელმწიფო ბალეტის მონაწილეობდა. დასმა ერთმოქმედებიანი ბალეტი „საგალობელი“ წარმოადგინა.

**FORBES MAGAZINE ANNIVERSARY**

A grand celebratory evening dedicated to the 100<sup>th</sup> anniversary of Forbes Magazine was conducted at the Tbilisi Opera House. The State Ballet of Georgia performed one-act ballet *Sagalobeli* at the event.



**ბალეტის ქართველი სოლისტები ტოკიოში**

საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანი სოლისტები ნუსტა ჩეკურაშვილი და ფილიპ ფედულოვი 7 ოქტომბერს იაპონიაში მიიწვიეს. „ბუნკა სივილ ჰოლში“ მათ ჩაიკოვსკის „მძინარე მზეთუნახავში“ წამყვანი პარტიები იცეკვეს სპექტაკლში, რომლის ქორეოგრაფია ტერი ვერსტმორლენდს ეკუთვნის.



**THE GEORGIAN BALLET'S SOLOISTS IN TOKYO**

Leading Soloists of the State Ballet of Georgia, Nutsa Chekurashvili and Philip Fedulov were invited to perform in Japan on 7<sup>th</sup> October. At the Bunkyo Civic Hall they performed the leading roles of the *Sleeping Beauty* by Tchaikovsky. The choreography belongs to Terry Westmoreland.

**ნინო ანანიაშვილი „ასამი მაკის ბალეტთან“ გამოვიდა**



28 ოქტომბერს, იაპონიის ქალაქ ტოიამაში, „ასამი მაკი ბალეტმა“, იაპონური ლეგენდის მიხედვით დადგმული ბალეტი „ასუკა“ წარმოადგინა, რომელშიც მთავარ პარტიებს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი და მოსკოვის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი რუსლან სკვორცოვი ასრულებდნენ.

**NINA ANANIASHVILI PERFORMED WITH ASAMI MAKI BALLET**

On 28<sup>th</sup> October, in Toyama, Japan, the *Asami Maki Ballet* performed the ballet *Asuka*, which is based on a Japanese legend. Prima Ballerina Nina Ananiashvili and Ruslan Skvortsov, Principal Dancer of the Moscow Bolshoi Theatre performed the leading roles.

**ნინო სამადაშვილის გამოსვლები მინსკში**

2 ივნისს, საქართველოს სახელმწიფო ბალეტის წამყვანმა სოლისტმა ნინო სამადაშვილმა მონაწილეობა მიიღო მეოთხე საერთაშორისო საბალეტო ფესტივალში „საბალეტო ზაფხული ბოლშოიში“, რომელიც ყოველწლიურად ბელარუსის დედაქალაქ მინსკში ტარდება. ნინო სამადაშვილმა ოდეტა-ოდილის პარტია იცეკვა ჩაიკოვსკის ბალეტში „გედების ტბა“. მას პარტნიორობას სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრის პრემიერი იგორ კოლბი უწევდა.



**NINO SAMADASHVILI'S GUEST APPEARANCES IN MINSK**

On 2<sup>nd</sup> June, Leading Soloist of the State Ballet of Georgia, Nino Samadashvili, took part in the IV International “Ballet Festival of Bolshoi”, an important event held annually in Minsk, Belarus. Nino Samadashvili performed the part of Odette-Odile in *Swan Lake* by P.Tchaikovsky. Her partner was Igor Kolb, Principal Dancer of the Mariinsky Theatre (Saint Petersburg).

24 ნოემბერს, საბალეტო დასის წამყვანმა სოლისტმა ნინო სამადაშვილმა მინსკში, ბელარუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ აკადემიურ დიდ თეატრში, კრეინის „ლაურენსიაში“ ლაურენსიას მთავარი პარტია იცეკვა. ბალერინას პარტნიორობას ტაკატოში მაჩიიამა უწევდა.

On 24<sup>th</sup> November, Leading Soloist of the Ballet Company, Nino Samadashvili performed the role of Laurencia in A. Krein’s ballet *Laurencia* at the Belarus National Academic Grand Opera and Ballet Theatre. The Principal Dancer Takatoshi Machiyama of the same theatre was her partner.



# დუეტის ძალა The Power of a Duet

მსოფლიო ბალეტის  
ვარსკვლავები  
თბილისის ოპერისა  
და ბალეტის თეატრში

WORLD BALLET STARS  
AT TBILISI  
OPERA & BALLET  
THEATER

ნინო ლულუნიშვილი

By Nino Gugunishvili

GEORGIA TODAY

28 ოქტომბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავებმა მარია ალექსანდროვამ და ვლადისლავ ლანტრატოვმა „ლაურენსიას“ ნინო ანანიშვილის ახალ ქორეოგრაფიულ ვერსიაში იცეკვეს.


საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელმა, პრიმა-ბალერინა ნინო ანანიშვილმა „ლაურენსიას“ ახალი ქორეოგრაფიული რედაქცია ვერ კიდევ 2014 წელს, ბელარუსის რესპუბლიკის ოპერისა და ბალეტის ნაციონალურ აკადემიურ დიდ თეატრში დადგა, რომლის თბილისური პრემიერა, 2017 წლის ბაზუღში შედგა. ამბობენ, რომ ბალეტის ეს რედაქცია ყველაზე ახლოსაა ჭაბუკიანის ორიგინალთან.

GEORGIA TODAY შეხვდა მარია ალექსანდროვასა და ვლადისლავ ლანტრატოვს. ორივე თავიანთი ვარსკვლავური კარიერის შუა ეტაპზე არიან, გამოდიან მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენებზე რუსეთსა და საზღვარგარეთ.

World ballet stars Maria Alexandrova and Vladislav Lantratov performed in a new choreographic version of *Laurencia*, staged by Nina Ananiashvili on October 28 at the Tbilisi State Opera and Ballet Theater.

Prima Ballerina Nina Ananiashvili, Artistic Director of the State Ballet of Georgia, staged the new choreographic redaction of *Laurencia* back in 2014 at the Minsk National Academic Grand Opera and Ballet Theater in Belarus, which then premiered in Tbilisi in the summer of 2017. It is said that this version of the ballet libretto is closest to Vakhtang Chabukiani's.

GEORGIA TODAY met with Maria Alexandrova and Vladislav Lantratov, both in the midst of their stellar careers, performing on the world's leading theater stages in Russia and abroad.





## რა შთაბეჭდილებები შეგექმნათ თბილისზე?

**ვლადისლავ ლანტრატოვი:** მეორედ ვარ თბილისში და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამის სანახავად ვერ მოვიცალეთ, მიყვარს აქაურობა. მომწონს ძველი ქალაქის ატმოსფერო, რაც ასე აშკარად იგრძნობა და თბილისის ლამაზი ეზოები; როგორაა შემონახული სიძველე ამ განსაცვიფრებელ შენობებში. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მაქვს აქ კიდევ ერთხელ ყოფნისა შესაძლებლობა.

**მარია ალექსანდროვა:** მე თქვენი ქვეყნისა და კულტურის დიდი პატივისცემითა და დაფასებით აღმზარდეს და რა თქმა უნდა, მიყვარს საქართველოში ჩამოსვლა. აქ დიდი გულწრფელობაა, რაც დღესდღეობით, სამწუხაროდ, იშვიათობაა; ჩამოდიხარ საქართველოში და ეს მხოლოდ ბალეტს არ ეხება (ვინაიდან ბალეტი თავად შლის გლობალურად არსებულ ბარიერებს). ეს უფრო მეტად ატმოსფეროს ეხება, რომელიც ასეთი სასიამოვნო და უნიკალურია.

**„ლაურენსიას“ შესრულებაში რა იყო ყველაზე რთული მხარე?**

**მარია:** ჩვენ ამ პროექტზე დაუყოვნებლივ დავთანხმდით და მასზე დაახლოებით ექვსი თვე ვმუშაობდით. ყველაზე რთული ისაა, რომ შესრულება რაც შეიძლება საუკეთესო უნდა გახადო.

**ვლადისლავი:** საინტერესოა... ნებისმიერი წარმოდგენა, როგორი ადვილიც არ უნდა ჩანდეს იგი, რთული შეიძლება აღმოჩნდეს. „ლაურენსია“ ისეთი ცოცხალი და მრავალფეროვანია, რომ მოუთმენლად ველი სპექტაკლს.

**მარია, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ ბალეტი სულ სიყვარულს ეხება...**

**მარია:** ბალეტი სიყვარულზე საუბრობს და ნებისმიერ სხვა თემას, რომელიც აქ შემოდის, სიყვარულად აქცევს. ამიტომაც გმირების ურთიერთკავშირი, დუეტის არსებობა ყველაზე მნიშვნელოვანია ბალეტში. მაყურებელმა სიყვარულის ეს იმპულსი უნდა მიიღოს; სიყვარული, რო-

## What are your impressions of Tbilisi?

**Vladislav:** It's my second time here and although we haven't yet had a chance to see much, I love it. I like the atmosphere of the old town that you can so vividly feel, and those beautiful Tbilisi yards; the way that oldness is preserved in those stunning buildings. I'm very happy to have a chance to be here again, and to stay here even for a few days.

**Maria:** I was raised with a huge respect for and appreciation of your country and culture and of course I always love to come to Georgia. There's a great authenticity here, which is unfortunately rare nowadays. You come to Georgia and it's not about just ballet, since ballet itself in a way erases the existing boundaries globally: it's more about the atmosphere which is so pleasurable and unique.

**What was the most challenging aspect of performing Laurencia?**

**Maria:** We agreed to the project instantly, and were working on it for around six months. The most difficult part is to make the performance the best it can be.

**Vladislav:** It's interesting... any performance, no matter how easy it seems, can be difficult. Laurencia is so vivid, so colorful and I'm very much looking forward to our performance.

**Maria, in one of your interviews, you say that Ballet is all about love...**

**Maria:** Ballet speaks about love, and any other theme it takes on turns into love. That's why the interaction of the characters, the existence of a duet in the performance, is the most important thing. As a viewer, you have to receive that impulse of love; love that may be difficult, romantic, passionate, one that may not exist in reality but can only be felt in ballet.

**Plisetskaya, Tsignadze and Chabukiani were the great names of Laurencia. Do you feel the need to compete?**





მელიც შეიძლება იყოს რთული, რომანტიკული, ვნებიანი; სიყვარული, რომელიც რეალობაში შეიძლება არ არსებობდეს, მაგრამ მხოლოდ ბალეტში შეიგრძნო.

**პლისეცკაია, წიგნაძე და ჭაბუკიანი „ლარენსიას“ დიდი შემსრულებლები იყვნენ. კონკურენციის გაწევის საჭიროებას თუ გრძნობთ?**

**ვლადისლავი:** სხვადასხვა ბალეტებში, ჩემამდე, ჩემი როლების ბევრი ჩინებული შემსრულებელი იყო, განსაკუთრებით დიდ თეატრში. როგორც კი დრო გავიდა, ვისწავლე, რომ ამაზე არ მეფიქრა. სხვაგვარად, ამით საკუთარ თავს დატანჯავ. ვისწავლე, რომ მეყურებინა მათი შესრულებისთვის ჩანაწერზე და მეცადა, მათგან გადმომეღო ის, რაც იმ მომენტში ჩემთვის საჭიროა.

**მარია:** კლასიკურ ბალეტში, აზრების მიმართულებამ შეიძლება პროფესიის გარეშე დაგტოვოს. თუ შენს თავს მუდმივად სხვას ადარებ, ჯობია ნივთები ჩაალაგო და წახვიდე. ჩვენ იმ სცენაზე გამოვდივართ, სადაც პავლოვა, სპესიტსევა ცეკვავდნენ და ეს შემკვიდრობა ჩვენ არ შეგვიქმნია. ჩვენ ვინახავთ ტრადიციებს. დროთა განმავლობაში,

**Vladislav:** I had so many great dancers performing in the ballets before me, especially in the Bolshoi Theater repertoire, but as time passed, I learned not to think about it, otherwise you can torture yourself with it. I've learned to watch the tapes of their performances and try to take from them what was needed for me in the moment.

**Maria:** In classical ballet, that way of thinking might leave you out of a profession. If you constantly compare yourself to others it might be better to pack your things and leave. We're entering the stage after Pavlova, Spesivtseva, and it's not us who created that heritage. We keep those traditions; the performances are renewed, as is the audience, while time passes. There are rules that you have to obey, but at the same time there's a huge part of you, your personality, going into it. I read somewhere that tradition is about passing the fire on and not about torturing oneself over the ashes. We have to put our souls into those performances to live, otherwise it'll become a raw classic. You mustn't compete with the great dancers; you have to find yourself in art: that's the main objective of a person in







წარმოდგენები, ისევე როგორც აუდიტორია, იცვლება. არსებობს წესები, რომლებსაც უნდა დაემორჩილო, თუმცა, ამავდროულად, არსებობს შენი დიდი ნაწილი, შენი პიროვნულობა, რომელიც წარმოდგენაში უნდა გამოსცადო. სადღაც წავიკითხე, რომ ტრადიცია, ესაა ცეცხლის გადაცემა და არა საკუთარი თავის ფერფლში დატანვა. ჩვენ ჩვენი სული უნდა ჩავდეთ ამ წარმოდგენებში, რათა გავაცოცხოლოთ. სხვაგვარად, იგი უსიცოცხლო კლასიკა გახდება. არ უნდა შეეჯიბრო დიდ მოცეკვავეებს. შენ შენი თავი უნდა იბოვო ხელოვნებაში. ესაა ხელოვანის მთავარი მიზანი: საკუთარი თავის, საკუთარი ინდივიდუალობის პოვნა, შენი შესაძლებლობების აღმოჩენა და იმის გარკვევა, თუ რისი გაკეთება შეგიძლია.

art: finding oneself, one's individuality, opening your abilities and finding out what you can do.

**Maria, do you ever regret leaving the Bolshoi?**

**Maria:** Theater is a difficult place; it can give you a lot, but it can also take so many things from you. Not the theater itself, but people and artists are those whose careers are largely dependent on whether you're loved or not. There are situations where your attitude changes towards yourself, towards time and the goals you set for yourself as an artist.

**Vladislav:** I thought about leaving the theater about a year ago, but, I decided that as long as I can hold that creative fire inside me, I have to work. I, as an artist, can build my life as I see fit.

**თბილისის შემდეგ რა გეგმები გაქვთ?**

**ვლადისლავი:** ჩვენ მოსკოვში დავბრუნდებით, ნოემბერში პრემიერა მაქვს; მარია ლონდონში მიდის. შემდეგ კი, ერთად ვიცეკვებთ „სპარტაკს“ დიდ თეატრში. სინანულის თვალსაზრისით, ვფიქრობ, რომ დიდმა თეატრმა დიდებული ბალერინა და უნიკალური დუეტი დაკარგა, რომელსაც, გულწრფელად შემიძლია გითხრა, დღეს ანალოგი არ აქვს. არც იმას აქვს მნიშვნელობა სად ვცეკვავთ, მთავარია, რომ ერთად ვცეკვავთ.

**What are your plans after Tbilisi?**

**Vladislav:** We're going back to Moscow, I have a premiere in November, Maria is going to London, and then we'll dance in Spartak together in the Bolshoi. In terms of regrets, I think that Bolshoi lost an amazing ballerina, and a unique duet, which I can honestly say has no analogue today. It doesn't matter where we dance, what matters is that we dance together.

*იბეჭდება შემოკლებით  
Georgia Today/2 ნოემბერი, 2017*

*We publish a short version of the article  
Georgia Today/02 November 2017*



# დამშვიდობება ლაურენსიასთან!

## Farewell to Laurencia!

ილია თავბერიძე

By Iliia Tavberidze

29 ოქტომბერს, ლალი კანდელაკმა ლაურენსიას პარტია ბოლოჯერ შეასრულა. სიმართლე გითხრათ, პრიმა-ბალერინას ეს გადაწყვეტილება ჩემთვის მოულოდნელი იყო. სპექტაკლამდე რამდენიმე დღით ადრე მან ამის შესახებ სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე გამოაცხადა. თუმცა, სპექტაკლის შემდეგ

ბევრს გაუჩნდა შეკითხვა – რატომ დამშვიდობა ლალი კანდელაკი თავის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ პარტიას, რომელშიც კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მისი შესრულების სტილმა, სამსახიობო ოსტატობამ და რაც მთავარია, შეუდარებელმა ტექნიკურმა მონაცემებმა, რაც ამ ურთულესი პარტიისთვის აუცილებელია.

On 29<sup>th</sup> October 2017, Lali Kandelaki performed role of *Laurencia* for the last time. Frankly speaking, the Prima Ballerina's decision was unexpected. A few days prior to the performance she announced it on her Facebook page, however, after the performance we were all wondering why Lali bid farewell to one of her

© KHATIA JJEISHVILI





ლალი კანდელაკი კრეინის ბალეტში „ლაურენსია“, რომლის ქორეოგრაფია ვახტანგ ჭაბუკიანს ეკუთვნის, პირველად 2007 წელს გამოჩნდა. ამ წელს, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში „ლაურენსიას“ ახალი რედაქციის პრემიერა გაიმართა, რომელიც ნუკრი მაღალაშვილს ეკუთვნოდა. ლალი ამ რედაქციაში ლაურენსიას პარტიის ერთადერთი შემსრულებელი იყო და რამდენიმე წელი ცეკვავდა. კარგად მახსოვს მზადება პრემიერისთვის. გენერალურ რეპეტიციაზე უკვე ნათლად ჩანდა, რომ თეატრში ვერა წიგნაძის, ლილიანა მითაიშვილის, ირინა ჯანდიერის, მარინა ალექსიძის შემდეგ ლაურენსიას კიდევ ერთი ბრწყინვალე შემსრულებელი იზადებოდა. საზეიმო და ამალელებელი იყო პრემიერის დღე – 18 აპრილი. დარბაზში ლეგენდარული ვერა წიგნაძე და ჭაბუკიანის თაობის ბევრი მოცეკვავეები ისხდნენ; ისინი, ვისაც კარგად ახსოვდა ამ ბალეტის თითოეული ნიუანსი. ეს კი დამდგმელი ჯგუფის, მთავარი პარტიების შემსრულებლების და დასისთვის უაღრესად საპასუხისმგებლო მომენტი იყო. პრემიერის დასრულების შემდეგ ლალი კანდელაკი და მისი პარტნიორი დავით ხოზაშვილი (ფრონდოსო) უამრავ მილოცვას იღებდნენ. სცენაზე შემობრძანდა ვერა წიგნაძე, რომელმაც ლალი კანდელაკს

გულთბილად მიულოცა წარმატება და უთხრა, რომ მან ბრწყინვალედ იცეკვა.

შემდეგი გამარჯვება ამ ბალეტში ლალის ქვეყნის გარეთ ჰქონდა. „ლალი კანდელაკი ლაურენსიას პარტიაში შეუდარებელი იყო“ – ასეთი შეფასება მისცა პრესამ ქართველი პრიმა-ბალერინას გამოსვლას ბელარუსის დიდი თეატრის სცენაზე. „წელში გამართული ამაყი მხერა, გაბედული გამოხედვა, მაღალი ნახტომი და შეუდარებელი ტექნიკა – ჭაბუკიანის ერთ-ერთი ბოლო მოსწავლე მინსკში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობდა“ – წერდნენ მიმომხილველები.

ბელარუსის დიდ თეატრში ბალეტი „ლაურენსია“ ნინო ანანიაშვილმა 2014 წელს დადგა. წარმატებული პრემიერიდან რამდენიმე თვის შემდეგ, მინსკში ლაურენსიას საუკეთესო ქართველი შემსრულებელი მიიწვიეს. ლალი კანდელაკს მინსკში პარტნიორობას ბელარუსის დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი კონსტანტინ გერონიკი უწევდა. მაყურებლის წინაშე შეუდარებელი სანახაობა მოეწყო, რომლის გამო აღფრთოვანებას ამ ბალეტის დამდგმელი ჯგუფის წევრებიც ვერ მაღავდნენ.

ამ პარტიასთან კიდევ ერთი შეხვედრა პრიმა-ბალერინას 2017 წელს

favorite roles where her remarkable performing style, artistic mastery and most importantly, incomparable technical potential – which are exceptionally necessary for this role – shone once again.

In Krein’s ballet *Laurencia*, choreographed by Vakhtang Chabukiani, Lali debuted in 2007. A new choreographic edition of *Laurencia* premiered that year which belonged to Nukri Makghalashvili. Lali was the only performer of *Laurencia*’s role in that redaction, and she has been dancing it for several years. I very well remember the preparation for the premiere. At the general rehearsal, it was obvious that after Vera Tsignadze, Liliانا Mitaishvili, Irina Jandieri and Marina Aleksidze another splendid performer of *Laurencia* was about to be born. 18th April 2007, the premiere day, was exciting and festive. The legendary Vera Tsignadze and many dancers of Chabukiani’s generation attended the performance; those who remembered every nuance of the ballet very well. Thus, the staging group had a huge responsibility, as well as the performers of the leading roles and the Company. After the premiere, Lali Kandelaki and Lasha Khozashvili (Fronadoso) received high appraisals. Vera Tsignadze went on the stage, warmly congratulated Lali on the successful performance and told her that she danced brilliantly.







მოუხდა. 21 ივნისს, თბილისის საერთაშორისო საბალეტო ფესტივალის პროგრამით, შედგა „ლაურენსიას“ ახალი ქორეოგრაფიული რედაქციის პრემიერა, რომელიც ნინო ანანიასვილს ეკუთვნის. ლალიმ პრემიერა ბოსტონ ბალეტის წამყვან სოლისტთან ლაშა ხობაშვილთან ერთად იცეკვა.

პრემიერიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ლალი კანდელაკმა მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მისი ბოლო გამოსვლა ამ ბალეტში, არასდროს დაავიწყდება მაყურებელს, რომელიც იმ დღეს თბილისის ოპერის თეატრში ამ სპექტაკლს დაესწრო.

Lali met with her next great success in this ballet abroad. “Lali Kandelaki was exceptional in the role of Laurencia” – reviewed the press the Georgian Prima Ballerina’s performance on the stage of the Belarus Bolshoi Theatre. “Upright proud gaze, bold look, high jump and incomparable technique – one of the last students of Chabukiani was participating in the international festival held in Minsk” – wrote the critiques.

Nina Ananiashvili staged the ballet *Laurencia* at the Belarus Bolshoi Theatre (The National

Academic Grand Opera and Ballet Theatre of the Republic of Belarus) in 2014. Several months after the premiere, the best Georgian performer of *Laurencia* was invited to Minsk. Lali Kandelaki was partnered by the Principal Dancer of the Belarus Bolshoi Theatre, Konstantin Geronikin in this splendid performance. Even the members of the staging group could not hide their exaltation.

The Prima Ballerina danced this role again in 2017. On 21st June, within the program of the Tbilisi International Ballet Festi-

val, the premiere of Nina Ananiashvili’s new redaction of *Laurencia* was conducted. Lali danced the premiere performance with Principal Dancer of the Boston Ballet, Lasha Khozashvili.

A few months after the premiere, Lali made an unexpected decision. The spectators will never forget her last performance in this ballet.



**ვალენტინ ელიზარევის იუბილე**

2 ნოემბერს, მინსკში, ბელარუსის ოპერისა და ბალეტის თეატრში ცნობილი ქორეოგრაფის ვალენტინ ელიზარევის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა, მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავების და ახალგაზრდა შემსრულებლების მონაწილეობით. საიუბილეო საღამოში მონაწილეობდნენ ჩვენი საბალეტოს დასის წამყვანი სოლისტები ეკატერინე სურმავა და დავით ანანელი, რომლებმაც იცეკვეს ადაჯიო ბალეტიდან „საგალობელი“. რამდენიმე დღით ადრე, ეკა და დავით რუმინეთის ქალაქ სიბიუში გამართულ Young Stars Ballet Competition-ის გალა-კონცერტში მონაწილეობდნენ.

**VALENTIN ELIZARIEV'S ANNIVERSARY**

A Gala featuring world ballet stars and young performers was dedicated to the prominent choreographer Valentine Elizariev's 70th anniversary in Minsk, at the Opera and Ballet Theatre of Belarus, on 2nd November. Leading Soloists of our Ballet Company, Ekaterine Surmava and David Ananeli participated in the Gala celebration – they danced the Adagio from the ballet Sagalobeli. Prior to that, Ekaterine and David had performed at the Gala concert of Young Stars Ballet Competition in Sibiu, Romania.



**მიხეილ ლავროვსკი „რომეო და ჯულიეტას“ აღდგენაზე მუშაობს**



საბალეტო დასი „რომეო და ჯულიეტას“ აღდგენაზე მუშაობს. რეპეტიციებს თბილისში, ნოემბერში მიხეილ ლავროვსკი ატარებდა. აღდგენილი ბალეტი 2018 წლის იანვარში იქნება წარმოდგენილი.

**მიხეილ ლავროვსკი:** „გულწრფელად, ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მამას ეს ბალეტი ნამდვილად გამოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინგრადში მუშაობის პროცესში ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა, საბოლოოდ შედეგრი შექმნა. „რომეო და ჯულიეტას“ – დადგმა საბჭოთა კავშირიდან, მტრულად განწყობილმა დასავლეთმაც კი დიდი ოვაციებით მიიღო. პრემიერიდან თითქმის ერთი საუკუნე გავიდა. ვეთანხმები ნინო ანანიაშვილს, როცა ამბობს, რომ გენიალური ბალეტებიც კი, დროსთან ერთად რედაქტირებას საჭიროებს. ვმუშაობთ ახალ რედაქციაზე. რაც შეეხება საბალეტო დასს, თბილისში ბოლოს 30 წლის წინ ვიმუშავე, მაშინაც ძალიან ნიჭიერი თაობა იყო და ახლაც. კმაყოფილი დავარჩი, ყოჩაღები არიან, მაღალი დონის მოცეკვავეები“.

„რომეო და ჯულიეტას“ პრემიერა თბილისში 2006 წლის 19 მაისს გაიმართა და თეატრის რეკონსტრუქციის გამო რამდენიმე წელია წარმოდგენილი არ ყოფილა.

**MIKHAIL LAVROVSKY IS WORKING ON THE REVIVAL OF ROMEO AND JULIET**

The Ballet Company is working on a revival of Romeo and Juliet. Mikhail Lavrovsky conducted rehearsals at the Tbilisi Opera and Ballet Theatre in November. The revived ballet will be presented in January 2018.

**Mikhail Lavrovsky:** “I would say, honestly, that my Dad really worked this ballet out. Despite the fact that he faced many obstacles while working in Leningrad, eventually, he created a masterpiece. Even the hostile Europe greeted with great ovation this staging of Romeo and Juliet from the Soviet Union. Almost a century has passed since its premiere. I agree with Nina Ananiashvili when she says that even the brilliant ballets need to be renewed after some time. We are working on a new redaction. As for the Ballet Company, it was 30 years ago when I worked in Tbilisi – back then and also now, both generations are talented. I am delighted: they are fine dancers of a high artistic level”.

The Tbilisi premiere of Romeo and Juliet was held on 19th May, 2006, and due to the reconstruction of the Theatre, for several years it has not been presented.



# ყველა ოსტატზე Above მაღლა All Masters

ჯორჯ ბალანჩინი

By George Balanchine



2018 წელს, უდიდესი ქორეოგრაფის მარიუს პეტიპას დაბადებიდან 200 წლის იუბილე აღინიშნება, რომელმაც საბალეტო ხელოვნების განვითარებას სულ სხვა მიმართულება მისცა. მარიუს პეტიპა დღემდე რჩება ბალეტის რეფორმატორად, მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა კი კლასიკური საბალეტო ხელოვნების საფუძვლად. ქვემოთ გთავაზობთ ჯორჯ ბალანჩინის ნაკლებად ცნობილ სტატიას მარიუს პეტიპას შესახებ, რომელიც გამოქვეყნდა კრებულში „მარიუს პეტიპა. მოგონებები და სტატიები“, რომელიც 1967 წელს გამოიცა მოსკოვში. საუბარი ჯორჯ ბალანჩინთან შედგა კრებულის რედკოლეგიის თხოვნით სარატოგა სპრინგსში, 1967 წლის 15 ივლისს. საუბარი ჩაიწერა ლინკოლნ კერსტაინმა.

Next year marks the 200th anniversary of Marius Petipa, one of the greatest choreographers who transformed the direction of the development of ballet. Petipa remains the principal reformer of ballet and his oeuvre has laid the foundation for the art of classical ballet.

Below we present a lesser-known article by George Balanchine about Petipa, published in the collection MARIUS PETIPA—MEMOIRS AND ARTICLES in Moscow in 1967. The talk with Balanchine was held at the request of the editorial board of the publication in Saratoga Springs on 15 July 1967. It was recorded by Lincoln Kirstein.



მე მხოლოდ მარიუს პეტიპას ის ბალეტები ვიცი, რომლებიც ბავშვობაში მაქვს ნანახი, ასევე ისინი, რომლებშიც ვცეკვავდი, როდესაც თეატრალური სასწავლებლის საბალეტო განყოფილების მოსწავლე ვიყავი.

რადგან 1904 წელს დავიბადე, სასწავლებელში 1914 წელს ჩავაბარე და დავამთავრე 1921-ში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პეტიპას ყველა ბალეტი მაქვს ნანახი, რომლებიც იმ პერიოდში იდგმებოდა. სამწუხაროდ, მასთან უშუალო კონტაქტი არ მომიწია: პეტიპა 1910 წელს გარდაიცვალა, სიცოცხლის ბოლო შვიდი წელიწადი კი თეატრში მუშაობას ჩამოშორებული გახლდათ. ჩემი ახალგაზრდული აღფრთოვანება მისი პიროვნებით თავისთავად, ცხადი იყო. წლების განმავლობაში ეს გრძნობა უფრო და უფრო მიმძაფრდებოდა: და ის უზარმაზარი წვლილი, რომელიც ამ ისტორიულმა პიროვნებამ შეიტანა საბალეტო ხელოვნების განვითარებაში, მისი ინდივიდუალური მეთოდები და შემოქმედებითი გამომგონებლობა ჩემში უფრო და უფრო დიდ აღფრთოვანებას და მადლიერებას იწვევს.

ყველაზე მეტად, ამ შეუდარებელი ოსტატის შემოქმედებაში, მაინტერესებს დახვეწილობის მაღალ პროფესიონალიზმთან საოცარი შერწყმა. ნებისმიერ ქორეოგრაფს, რომელიც სტაციონარულ დასში მუშაობს, უწევს რეპერტუარის მუდმივი განახლება. თუმცა იშვიათია ბალეტმაისტერი, რომელიც ახერხებს მუდმივად ქმნიდეს და ინარჩუნებდეს საკუთარი დადგმების მაღალ დონეს და შეეძლოს გაეცეს საკუთარ წარმატებულ დადგმებში გაზავებულ ერთფეროვან შტამებსა და განმეორებებს. პეტიპა, ბევრი თანამედროვე ხელოვანისგან განსხვავებით, დაუღალავად მშრომელი იყო. ის არ ელოდა, როდის შთააგონებდა ახალი ნამუშევრის შექმნას წარმატება ან შემთხვევითობა, ისე როგორც შეფ-მზარეული არ ელოდება მადის მოსვლას კულინარიული შედეგის შესაქმნელად.

პეტიპას, ისევე როგორც ნებისმიერ კვალიფიციურ პროფესიონალს, ბიძგს აძლევდა აუცილებლობა, სამუშაო გეგმა და მასალა, რომელიც ამა თუ იმ მომენტში მის ხელთ იყო. ის არ ელოდა იდეალური პირობების თანხვედრას, რომელიც პრაქტიკაში არასოდეს აღმოჩნდება იდეალური და საერთოდაც, თითქმის არასოდეს იყრის თავს ერთად. იდეალური პირობები არ

I only know those ballets by Petipa that I saw in my childhood and those I danced in while training at the ballet section of the theatrical school.

Being born in 1904, I joined the school in 1914, and graduated in 1921. From this we should assume I have seen all of Petipa's ballets staged during that period. Unfortunately, I did not get the opportunity of personal contact with him: Petipa died in 1910, having been away from theatre work during the last seven years of his life. My youthful excitement about his personality was obviously very clear. Through the years, this feeling has only become stronger; and the monumental share of this historic person in the development of ballet art, his individual methods and creative innovation keeps bringing out more and more fascination and gratitude in me.

Among the creative work of the incomparable master, I am interested in the wonderful combination of refinement with utmost professionalism. Any choreographer working with a stationary company has to constantly refresh the repertoire. Nevertheless, it is rare to see a ballet master who manages to create and keep a high level of their productions and is able to escape marks of staginess and repetitiveness in their successful stagings. Unlike many of his contemporaries in the arts, Petipa was a never-tiring worker. He never wasted time waiting for success or eventualities to inspire him for a new creation, just like a chef does not sit around waiting for a moment of appetite to create a culinary masterpiece.

Petipa, like any other qualified professional, took his impetus from necessity, a work plan and material he had at his disposal at a given moment. He never expected a confluence of perfect circumstances, which would not turn out perfectly in practice anyway, and almost never comes together. There are no perfect circumstances. Petipa was driven by an inner need to stage new shows. Obviously, the other factor important in the process was the material resources he had available — money, employees, dancers, musicians, designers and the general situation in Russia



არსებობს. პეტიპას შინაგანი მოთხოვნილება მოუწოდებდა რომ დაედგა ახალი სპექტაკლები. ამასთან ცხადია, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მატერიალური სახსრები, რომელიც მის ხელთ იყო – ფული, თანამშრომლები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, მხატვრები და ასევე ვითარება მაშინდელ რუსეთში. მაგრამ ყველაზე არსებითი იყო ის, რომ პეტიპას ჰქონდა საკუთარი მეთოდი და მის ხელთ ყოველთვის საამისოდ საჭირო ინსტრუმენტები.

ჩემთვის რთულია პეტიპას ქორეოგრაფიის ცალკეულ ნიმუშებზე საუბარი იმ სახით, რა სახითაც მას ახლა აჩვენებენ დასავლეთში. აღიარებდა თუ არა ის საკუთარ ცეკვებად იმას, რასაც ახლა მას მიაწერენ? რბილად რომ ვთქვა, არ ვარ დარწმუნებული რომ იტალიური აღორძინების ხანის ბევრ ცნობილ ფერმწერს გაეხარებოდა მათი ნახატების ატრიბუცია, რომელიც ახლა გამოფენილია დიდ ევროპულ და ამერიკულ გალერეებში, რადგან ეს ნახატები იქ მოხვდა არა იმდენად მათი შემქმნელების, არამედ მათი ამჟამინდელი მესაკუთრეების განიღბებისათვის.

ტოკიოდან ნიუ-იორკამდე „გედების ტბის“ უთვალავი რედაქცია არსებობს. ეს გარემოება, ჩემში მხოლოდ კანონიერი შემფოთების გრძნობას იწვევს, რამეთუ არც ერთი მათგანი წამიერადაც არ გავს პეტიპასა და ივანოვის ხელწერას, რომ არაფერი ვთქვათ ამ ბალეტების ფორმალურ სტრუქტურაზე. რაც შეეხება „მძინარე მზეთუნახავს“ (ბოლოჯერ სერგეი დიაგილევის მიერ, ლონდონში, 1921 წელს ღირსეულად აღდგენილს, უშუალოდ პეტიპასთან დაკავშირებული მსახიობების მონაწილეობით), ჩემთვის დამაჯერებელი არაა ეს საბრალო, მოსაწყენი დადგმები, რომლებსაც დასავლეთში ყოველწლიურად აჩვენებენ, სულ ოდნავაც რომ არ ჰგავს პეტიპასა და ჩაიკოვსკის თანამშრომლობის შედეგს. თუკი ვისაუბრებთ „მაკნატუნაზე“, მე შემიძლია მხოლოდ იმედი გამოვთქვა, რომ ჩემმა რედაქციამ, რომლის წარმოდგენა ბოლო ოც წელიწადში ტრადიციად იქცა ნიუ-იორკში, არ შებღალეს მისი სახელი. თუმცა მე ვუსტად არ დამიდგამს ის, რაც პეტიპას ვერსიიდან თავად მახსოვდა, მით უფრო რომ ამ ბალეტში ჭაბუკობის დროს ვცეკვავდი კიდევ.

ცოტა ხნის წინ მე დავდგი „არლეკინადა“. როგორი სასიამოვნო იყო უსამართლოდ დავიწყებული საცეკვაო მუსიკის ოსტატის, დრიგოს საოცარი მელოდიის კვლავ მოსმე-

at the time. However, the most important factor was that Petipa had his own method and the necessary instruments overall.

It is difficult for me to talk about individual examples of Petipa’s choreography based on their versions presented in the West today. Would he have accepted the dances and works attributed to him nowadays? I am not sure that many famed painters of the Italian Renaissance era would have liked the presentation of their works that are displayed at great European and American galleries, as these exhibits ended up there not so much because they could be attributed to these artists, but due to the veneration of the people who had acquired them.

There are innumerable redactions of Swan Lake from Tokyo to New York. This only causes a rightful concern to me, as none of these redactions resemble anything like the signature style of Petipa and Ivanov — and I am not even going into the formal structure of these ballets. Regarding *The Sleeping Beauty* (which was restored with distinction last time in a 1921 staging by Sergei Diaghilev in London, with a cast connected directly to Petipa), to me these feeble, boring stagings shown in the West every year are not convincing, and are entirely unlike something coming out of a collaboration between Petipa and Tchaikovsky. As for *The Nutcracker*, I can only express my hope that my redaction, which has become a custom in New York over the last 20 years, has not offended his name. However, I have not staged my memories of the Petipa version precisely, especially considering that I danced in the ballet myself during my younger years.

I staged *Harlequinade* some time ago. How pleasant it was to hear the wonderful melody of the unfairly forgotten master of score, Drigo. The choreography did not simply change, it was completely reworked — as the circumstances of the contemporary theatre demanded it — yet I hope I managed to preserve the essence of Petipa’s artistic work: humour, softness, as well as sharpness and brilliance of invention. I hope the quite talented company I worked with adopted



ნა. ქორეოგრაფია არა მხოლოდ შეიცვალა, მთლიანად გადაშუშავდა – ამას ითხოვდა თანამედროვე თეატრში არსებული პირობები – და ამის მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ მოვახერხებ შექმნარჩუნებინა პეტიპას შემოქმედების არსი: იუმორი, სირბილე, მახვილგონივრულობა და ბრწყინვალება. იმედი მაქვს, რომ ჩემმა საკმაოდ ნიჭიერმა დასმა მიიღო მოძრაობათა ის კომბინაციები, რომელიც პეტიპას სულისკვეთებას შეესაბამება, იმის მიუხედავად რომ იყო გადახვევები, რადგან უნაყოფო იქნებოდა დავიწყებული „ორიგინალის“ არქეოლოგიური სიზუსტით რეკონსტრუქცია, რომელსაც, დიდი ალბათობით, თავად პეტიპა გადააკეთებდა სემონიდან სემონამდე.

პეტიპას ესთეტიკური მიდგომა ნებისმიერი ბალეტმაისტერული ნამუშევრის აბსოლუტურ ნორმად მიმაჩნია. თუმცა, ნებისმიერი მცდელობა მისი ქორეოგრაფია ხელშეუხებლად ჩათვალოს, ბალეტმაისტერის თვითგანდიდების გამოვლენად მესახება, რომელსაც ამა თუ იმ ბალეტის აღდგენა აქვს მინდობილი. მე მომიხდა პეტიპას სამი ყველაზე ცნობილი ბალეტის აღდგენის ბევრი ვერსია მენახა, რომელიც ჩაიკოვსკის ბრწყინვალე პარტიტურებზეა შექმნილი. სანამ მოვკვდები, ვგეგმავ გვაკეთო ისეთი „მძინარე მზეთუნახავი“, რომელიც შეიძლება პეტიპას მოსწონებოდა, თუმცა შესაძლოა ვერც კი ეცნო. ამ საქმეში მხოლოდ ხარჯები მარკოლებს; ბალეტის შესაფერის შემსრულებლებს რომ ვნახავ, ამაში ეჭვი არ მეპარება.

აზრი არ აქვს ძველი ბალეტების განახლების დროს იმედი გქონდეს, რომ იგი ზუსტად ისეთი გამოვა როგორც იყო. ახლა, მაგალითად, უკვე შეუძლებელია წარმოდგინო მიხაილ ფოკინის დიდი რეპერტუარი თუნდაც მისი ერთი ნამუშევრით. არადა ის არის ქორეოგრაფი, რომელმაც გაცილებით გვიან დაგვტოვა, ვიდრე პეტიპამ. არსებობს კი ახლა მსოფლიოს რომელიმე სცენაზე ფოკინის ერთი ბალეტი მაინც, ზუსტად ისეთი სახით, როგორც თავად დადგა? ის, რასაც ჩვენ ვხედავთ – სხვა არაფერია თუ არა აღრეული რედაქციების გვიანი ვარიანტები, მკრთალი პალიმფსესტი – შენიღბული შანტაჟის გარკვეული იარაღი ულიმდამო ბალეტმაისტერების მხრიდან, რომლებსაც არ აქვთ უნარი ახალი პა შექმნან ძველ მუსიკაზეც კი. პეტიპამ საფრანგეთიდან

the combinations of movements relevant to Petipa’s spirit, despite the fact that there were diversions — reconstructing the forgotten “original” with archaeological precision would have been fruitless, and the original would most probably have been redacted by Petipa himself from season to season.

I find Petipa’s aesthetic approach as the absolute norm of any work of a ballet master. However, any attempt at regarding his choreography as untouchable seems to me as an expression of self-aggrandizement from a ballet master tasked with restoring a certain ballet. I had the opportunity of seeing many restored versions of Petipa’s three most famous ballets based on the brilliant scores by Tchaikovsky. While I am alive, I plan to create a Sleeping Beauty Petipa would have liked, even if he might not have recognized it. Only funds are my obstacle to this idea; I have no doubts I will be able to find adequate dancers.

There is no point in hoping that a redacted ballet will be exactly like the original. As an example, it is impossible to imagine the great repertoire of Mikhail Fokine with even a single work of his, despite the fact that he was a choreographer who left us much later than Petipa. Is there a single ballet on any stage from around the world that is exactly the same as the version he had staged himself? What we see is nothing more than later versions of earlier redactions, faded palimpsests, a certain means of masked blackmail from dull ballet masters who have no ability to even create a new ‘pas’ on old music. Petipa took with him from France the tradition of French elegance, as Rastrelli and Rossi brought the tradition of Italian Baroque and Empire to the Imperial capital. Petipa had the opportunity to work in Russia the way he would never have been able to work in Paris or Rome at the time, as the St. Petersburg imperial theatres represented the focus of the imperial court, with immense resources and a privileged position. However, Petipa worked in difficult conditions, under a constantly changing management with different tastes — this is confirmed with his somber memoirs. He died as a dejected,



წამოიღო ფრანგული ელეგანტურობის ტრადიცია, ზუსტად ისე როგორც რასტრელი და როსინი შეიტანეს საიმპერიო დედაქალაქში იტალიური ბაროკოს და ამპირის ტრადიცია. მან რუსეთში მიიღო შესაძლებლობა ემუშავა ისე, როგორც იმ პერიოდში ასე მუშაობას ვერაფრით შეძლებდა პარიზში ან როში, რადგან პეტერბურგის საიმპერატორო თეატრებში თავმოყრილი იყო სამეფო კარის ყურადღება, მათზე იხარჯებოდა უზარმაზარი სახსრები და ისინი პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. თუმცა პეტიპა მუშაობდა რთულ პირობებში, რადგან მისი ხელმძღვანელობა მუდმივად იცვლებოდა და მათ განსხვავებული გემოვნება ჰქონდათ, რასაც ადასტურებს კიდევ მისი სევდიანი მემუარები. ის განაწყენებულ და არავისთვის საჭირო მოხუცად გარდაიცვალა, რომელიც მეგობრებმაც მიატოვეს, რადგან პეტიპამ მათზე დიდხანს იცოცხლა და ახალმა თაობამაც, რომელიც ამბოხებული იყო მე-19 საუკუნის წინააღმდეგ და მიანდა, რომ ის უკვე წარსულს ჩაბარდა.

პეტიპამ რუსეთში, რომელსაც შეუდარებლად მეტი სასიცოცხლო ძალა გააჩნდა, ვიდრე დაცემულობის პირას მყოფ და რეაქციულ ფრანგულ საოპერო თეატრებს, ჩაიტანა კვინტენსენციური გალური ელეგანტურობა, ხილული ფორმის აბსოლუტური სრულყოფილების შეგრძნება და მაღალი ჰუმანური სიმბოლიკა. სათავეში მან დააყენა მოცეკვავე მსახიობი, იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპა ცდილობდა ბალეტისთვის გარკვეული პირობითი პოეტურობა მოეხვია თავს, რომელიც წარმოადგენდა რაღაც სხვას, როგორც საცმაწვილო ნახევრადსაოპერო პანტომიმას, რომელსაც ჩვენ ახლაც ვუყურებთ, სათუთად შენახულს პეტიპას ბალეტების ყოველწლიურ, საშინელ გადამღერებებში. თავად ის ცეკვის არსიდან გამოდიოდა: მოძრაობების და ცალკეული პას თანხვედრა, შემსრულებლების თანხვედრა. მას ჰქონდა იმის ღრმა ცოდნა საკუთრივ ცეკვის ხელოვნების რომელიც მოძრაობები მიესადაგება არტისტების ინდივიდუალობას. ბალეტის ყველა არტისტი ერთნაირი არ არის: უფრო სწორად, ყველა არტისტი განსხვავებულია. უდიდესი ყურადღება, რომელიც ქორეოგრაფმა შეიძლება გამოავლინოს არტისტის მიმართ, არის მასში ჩადებული შესაძლებლობების გამოვლენა, სანამ მას თავს მოახვევს ამა თუ იმ

unneeded old man abandoned by his friends — as Petipa outlived them — and by the new generation rebelling against the 19th century and believing him to be the past.

To Russia, with its vitality, as opposed to the reactionary French opera theatres near their downfall, Petipa brought the quintessential Gallic elegance, the appreciation of absolute perfection of the visual form, and the great human symbolism. He selected the ‘dancing actor’ as the focal point at a time when Western Europe was attempting to entangle ballet in a notional poetic nature. The latter represented something else, a semi-operatic youth pantomime we can witness delicately preserved today in the annual, awful recycling of Petipa ballets. He himself based out of the essence of dance: a confluence of movements and individual ‘pas’, a confluence of dancers. He had the knowledge of which movements of the art of dance were relevant to the individuality of artists. Not all ballet artists are similar: or, more precisely, all artists are different. The greatest attention a choreographer can express towards an artist is revealing the abilities in them before drawing them in this or that ‘pas’. The latter can cause a rebellion from the entire physiological essence of a dancer, or an inability to perform these, as the artist in question might not naturally have the ability to perform specific movements and gestures. By revealing the most relevant combinations of movements for the dancers, by representing their individuality from the best angle, Petipa indirectly improved the entire dictionary of classical dance, as artists strove to improve the range of their movements and master what they had believed impossible.

His mastery lies in creating clear lines, rethinking the clean profile and soft transitions, in floating development of movements, in attaining brilliant technique of turns and the knowledge of developing virtuoso choreographic climaxes, in the diversity of unexpected finds and the endless inspiration in inventing new forms all the time — all this remains as one-of-a-kind to this day.

პას. ამის წინააღმდეგ მოცეკვავის მთელი ფიზიოლოგიური არსი შეიძლება ამბობდეს ან მისი შესრულება მას არ შეეძლოს იქედან გამომდინარე, რომ ბუნებრივად არ აქვს უნარი გარკვეული მოძრაობები და ჟესტები შეასრულოს. მათთვის მოძრაობათა ყველაზე მისადაგებული კომბინაციების გამოვლენით, არტისტის ინდივიდუალობის საუკეთესო მხრიდან წარმოჩენით პეტიპამ ირიბად გააუმჯობესა კლასიკური ცეკვის მთელი ლექსიკონი, რადგან არტისტები მისწრაფოდნენ გაეფართოვებინათ საკუთარი მოძრაობების დიაპაზონი და აეთვისებინათ ის, რაც მათ აქამდე შეუძლებლად ესახებოდათ. მისი ოსტატობა მკაფიო ხაზების შექმნაში, სუფთა პროფილის და მსუბუქი გადასვლების გააზრებაში, მოძრაობათა ნარნარ განვითარებაშია, წრეზე ბრუნების ტექნიკის ბრწყინვალე ფლობასა და ვირტუოზული ქორეოგრაფიული კულმინაციების განვითარების ცოდნაშია, მოულოდნელი მიგნებების მრავალფეროვნებასა და სულ ახალ-ახალი ფორმების გამოგონების უღვევ შთაგონებაშია – ყველაფერი ეს ამ დრომდე განუმეორებელი რჩება.

ამ ყველაფერთან ერთად ის იყო შესანიშნავი მევიოლინე და კარგი მუსიკოსი. მას შეეძლო კომპოზიტორებთან მათ ენაზე ესაუბრა. ჩაიკოვსკი აღფრთოვანებული იყო მისით: პეტიპამ პიოტრ ილიჩს მისცა ზუსტად ის, რასაც მისი მუსიკა ითხოვდა. ის კი ცოტას არ ითხოვდა.

ჩვენს მე-20 საუკუნეში ბალეტში ბევრი ახალი შემოიტანეს. თუმცა, ამ სფეროში ტემპარითი აღმოჩენების უმეტესობა არ იყო ელინისტური სკულპტურის პრინციპების აღორძინება, როგორც დუნკანთან და ფოკინთან, ან ფერწერისა – როგორც ნოვერთან.

უდიდესი სიახლეები თანამედროვე კლასიკური ცეკვის ლექსიკონში დამყარებულია მუსიკაზე, ახალ მიდგომაზე რითმული ერთეულების დანაყოფში, ბგერების და პაუზების მონაცვლეობის ხასიათზე. ძირითადი მოძრაობები, რომლითაც პეტიპა ოპერირებდა, იყო სწორედ ის პა, რომელიც ჩვენ ვიცით დღეს. ზოგჯერ მე თავადაც ამომიბრუნებია უკულმა ის, შემიცვლია კლასიკური პოზიციები, რათა პუბლიკის აღქმა გამეცოცხლებინა, საგონებელში ჩამეგდო მოძრაობების უცნაურობით, რადგან ძველი ფორმები ამოწურულად და ზემოქმედების

Along with all this, he was a remarkable violinist and a good musician. He could speak with composers their own language. Tchaikovsky was delighted with him: Petipa gave Pyotrilych exactly what his music demanded – and it did not demand a little.

In our 20th century, many novelties have been brought into ballet. However, most of the genuine discoveries in the field did not represent a Renaissance of the principles of Hellenistic sculpture like with Duncan and Fokine, or of painting, like with Noverre.

The greatest novelties in the dictionary of the contemporary classical dance are based on music, on a new approach to the nature of sounds and breaks in a section of rhythmic entities. The principal movements operated by Petipa were the 'pas' we know today. There





ძალდაკარგულად მეჩვენებოდა. მაგრამ, საფუძველში ხუთი პოზიცია რჩება ხუთ პოზიციად, სკოლა — ისევ ის სკოლაა და სხვა მის გარდა არ არსებობს. კლასიკური ცეკვის ენა ერთნაირია, უნივერსალური და მუდმივი. შესაძლოა, ჩვენი ძალისხმევის დამსახურებით და იმით რომ მაყურებელს ესმის ახლა ის, რასაც ადრე უარყოფდა, ეს ენა უფრო მოქნილი გახდა, მოიცავს უფრო და უფრო მეტ სივრცეს, თუმცა მისი საფუძველი უცვლელი რჩება. არ შეიძლება ვისაუბროთ პეტიპაზე, როგორც უდიდეს ნოვატორზე ჩვენს საუკუნეში, როდესაც ნოვატორობა ხდება აღქმული უკვე აღმოჩენილი ხერხების მომბაზრებელ გამოვლენად. პირადად მე მიმაჩნია, რომ ნოვატორობა იშვიათად არის ახალი; ხშირად, ეს მხოლოდ ძველის ცნობილი ტრანსფორმაციაა. ტრადიციები ბევრად ძლიერია ვიდრე მათი უარყოფა. ის ახალს საოცარი სისწრაფით ისრუტავს. ნოვატორებზე ბევრად იშვიათად გვხვდებიან მაღალი პროფესიული ეთიკის მატარებლები, რომელთათვის არსებობს მხოლოდ ერთი მნიშობრივი წესი: ქმნიდე, მუდმივად ქმნიდე გემოვნების და თვითმყოფადობის მაღალ დონეზე, სწრაფად და კვალიფიციურად გამოეხმარო თეატრალური ხელოვნების გადაუდებელ საჭიროებებს, და აკეთო ეს ყოველგვარი ტრაბახის, ბრმა ძიების, ობიექტურ მიზნებზე გადაბრალების და წარუმატებლობის გარეშე.

თეატრი — ეს ისეთი ადგილია სადაც წარმოდგენილი ყოველთვის შესაძლებელია. თეატრი გვასწავლის, როგორ გარდავქმნათ შეუძლებელი რეალურად. იმისთვის, რომ ეს მოხდეს საჭიროა რაღაც უფრო მეტი ვიდრე შთაგონება, სიახლის შეგრძნება, გამომგონებლობა და მაყურებლის მოზადობის უნარი. აუცილებელია გქონდეს უდრეკი, თითქმის გლეხური შეუპოვრობა, უნდა იპოვო საკუთარ თავში გადარჩენის ძალა, ძალა იმისა, რომ შექმნა ნაწარმოები, მაგრამ არა რაღაც გამოცდილებით „შენში“, არამედ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. პეტიპას უმაღლესი ხარისხით ჰქონდა ეს თვისებები. აი, ამიტომ ვაყენებ მას ჩვენი ხელობის და ხელოვნების (თუ ეს ხელოვნებაა) ნებისმიერ სხვა ოსტატზე მაღლა. მაგრამ მე ვაფრთხილებ ჩემს საკუთარ მოსწავლეებს: დაივიწყეთ მისი პა; ისინი თვითონ შეგასხენებენ თავს. ეცადეთ ააღორძინოთ მისი სული; მხოლოდ თქვენ შეძლებთ გააკეთოთ ეს იმის დახმარებით, რის სწავლასაც მოახერხებთ.

were times when I also turned it upside down and changed classical positions to enliven the public's perception, to cause a puzzling reaction with the strangeness of the movements, as I considered the old forms as having exhausted themselves and lost their effect. However, the basis of five positions remains as the same positions, and that school is the same school, with no other existing. The language of classical dance is the same, universal and constant. It could be that — thanks to our effort and the fact that the audience now understands what it rejected before — this language has become more flexible and gained more and more space; however, its basis remains the same. We cannot talk about Petipa as the greatest innovator of our century, if innovation is understood as a mundane repetition of already discovered methods. I personally believe that innovation is rarely new; often it is only a known transformation of the old. Traditions are much more powerful than the rejection of them. They absorb novelty with an amazing momentum. Much rarer than innovators we encounter those bearing high professional ethics, those for whom only one moral law exists: to create, to constantly create at a high level of taste and individuality, to respond to the urgent needs of theatre art quickly and with professionalism, and to do all this without any boasting, blind search, shifting blame to objective causes and without failure.

Theatre is a place where the unimaginable is always possible. Theatre teaches us how to transform the impossible into reality. Making this possible requires more than inspiration, a feeling of novelty and invention, and the ability to enchant the audience. It is necessary to have an unwavering, almost peasant-like will, to find in yourself the power for survival, the power for creating a work based on life experience, and not an experience “within yourself”. Petipa had these qualities to the highest degree. That is why I hold him above any other master of our craft or art (if it is an art). However, I also warn my own students: forget his 'pas'; they will remind you of themselves. Instead, attempt to restore his spirit; only you can do this with the help of what you manage to learn.

8 იანვარს „მაკნატუნაში“ მარის პარტია პირველად იცეკვა დასის ახალგაზრდა მოცეკვავემ მარი ელომ. მას პარტნიორობას უწევდა სოლიე სამუდიო მარინი.

On January 8<sup>th</sup>, 2017, in the ballet *Nutcracker*, a young dancer of the Company, Mari Elo (Mariam Eloshvili), made her debut as Marie. Her partner was Solieh Samudio.



ნინო სამადაშვილი. „მოცარტიანა“  
NINO SAMADASHVILI. MOZARTIANA

18 თებერვალს საბალეტო დასმა, რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ, წარმოადგინა ბალანჩინის „მოცარტიანა“, სადაც სოლო პარტიები პირველად შეასრულეს ნინო სამადაშვილმა და იონენ ტაკანომ, ჟიგა კი 19 თებერვალს პირველად იცეკვა დიეგო ბუტილიონემ.

After a several-year break, on February 18<sup>th</sup> the Ballet Company presented *Mozartiana* by Balanchine. In this piece, Nino Samadashvili and Yonen Takano debuted in solo roles, and Diego Buttiglione danced a “Gigue”.



ჟიგა – დიეგო ბუტილიონე  
„მოცარტიანა“  
GIGUE – DIEGO BUTTIGLIONE  
MOZARTIANA

ახალი შემსრულებლები ყავდა რამდენიმე სოლო პარტიას ბალეტში „წუნა და წრუწუნა“ – უსატაბაში 28 მარტს პირველად იცეკვა მორის მესხიამ, გერმანულ ცეკვაში სოლისტი – იონენ ტაკანომ (25 მარტი), იტალიურ ცეკვაში სოლისტი კი, იმავე დღეს, მარი ელომ.

In the ballet *Tsuna and Tsrutsuna* our performers debuted in several new roles – Moris Meskhia as Ustabashi on March 28<sup>th</sup>, and Yonen Takano as soloist in the “German Dance” on March 25<sup>th</sup>. Mari Elo appeared as soloist in the “Italian Dance” in the same performance.

აღმოსავლურ ცეკვაში 1 აპრილს პირველად გამოვიდა იუმა სუმი თორაძის ბალეტში „გორდა“.

On April 1<sup>st</sup>, Yuma Sumi debuted in the “Oriental Dance” in the ballet *Gorda* by Toradze.



166-ე სეზონის გახსნა

OPENING OF THE 166<sup>TH</sup> SEASON

ახალი საბალეტო სეზონი 22 სექტემბერს, ჩაიკოვსკის „გედების ტბით“ გაიხსნა. სეზონის პირველ სპექტაკლში ოდეტა-ოდილას პარტია ლალი კანდელაკმა იცეკვა, რომელსაც პარტნიორობას ფრენკ ვან ტონგერენი უწევდა.

The new Ballet Season opened on 22<sup>nd</sup> September with *Swan Lake* by Tchaikovsky. In the first performance of the season Lali Kandelaki performed Odette-Odile, her partner was Frank van Tongeren.

23 სექტემბერს გამართულ სპექტაკლში ოდეტას პარტია ნინო ანანიაშვილმა შეასრულა, ოდილას კი – ნუსა ჩეკურაშვილმა. სპექტაკლში ბელარუსის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური აკადემიური დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი დენის კლიმუკი მონაწილეობდა (პრინცი ზიგფრიდი).

On 23<sup>rd</sup> September, Nina Ananiashvili performed the role of Odette and Nutsa Chekurashvili danced Odile. Dzianis Klimuk, Leading Soloist of the Belarus National Academic Grand Opera and Ballet Theatre participated in the performance as Prince Siegfried.

24 სექტემბერს კი ოდეტა-ოდილა – ნინო სამადაშვილმა, პრინცი ზიგფრიდი – ფრენკ ვან ტონგერენმა შეასრულეს.

On 24<sup>th</sup> September Nino Samadashvili danced Odette-Odile and Frank van Tongeren performed Prince Siegfried's role.

15 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნა ადანის „ჟიზელი“. ჰანსის პარტიაში პირველი გამოსვლა ჰქონდა ფრენკ ვან ტონგერენს; ბერტა პირველად იცეკვა ნინო მეგრელიშვილმა, ხოლო პა დე სიზში პირველად მონაწილეობდა დასის ახალი მოცეკვავე რაფაელ სპაიკერი.

In the 166<sup>th</sup> Season, on October 15<sup>th</sup>, the the State Ballet of Georgia presented the ballet *Giselle* by A. Adam.

Frank Van Tongeren had his debut as Hans; Nino Megrelishvili danced the role of Bertha for first time; and Raphael Spyker, a new dancer of the Company debuted in the Pas de Six.

„ჟიზელი“ – ნინო სამადაშვილი, პრინცი ალბრეხტი – ფილიპ ფედულოვი, ჰანსი – ფრენკ ვან ტონგერენი. „ჟიზელი“  
GISELLE – NINO SAMADASHVILI, PRINC ALBRECHT – PHILIP FEDULOV, HANS – FRANK VAN TONGEREN. GISELLE



მენგო – დიეგო ბუტილიონე „ლაურენსია“  
MENGO – DIEGO BUTTIGLIONE LAURENCIA

28 და 29 ოქტომბერს წარმოდგენილ „ლაურენსიაში“ სოლო პარტიებს ახალი შემსრულებლები ყავდათ. პირველად იცეკვეს: ხასინტა – ნინო სამადაშვილმა, პასკუალა – ნუსა ჩეკურაშვილმა, სოლო „კასტანიეტებით ცეკვაში“ – რაფაელ სპაიკერმა (28.10), ბოშური ცეკვის სოლო – თათა ჯაშმა და აგელოს ანტონიუმ, მენგო კი დიეგო ბუტილიონემ (29.10).



მეშორია კიკაბიძე, რაფაელ სპაიკერი. კასტანიეტებით ცეკვა. „ლაურენსია“  
VIKTORIA KIKABIDZE, RAPHAEL SPYKER. DANCE WITH CASTANETS. LAURENCIA

On October 28<sup>th</sup> and 29<sup>th</sup>, performances of the ballet *Laurenzia* introduced new performers in the solo roles. Nino Samadashvili debuted as Jacinta; Nutsa Chekurashvili as Pascuala; Raphael Spyker danced the solo in the “Dance with Castanets” on December 28<sup>th</sup>. Tata Jashi and Angelos Antoniu performed the solo of the “Gypsy Dance” and Diego Buttiglione danced Mengo's roles on October 29<sup>th</sup>.